ჩვენი სოფელი

სოფლის მეურნეობის სამინისტროს ყოველთვიური გამოცემა

დეკემბერი/2015 ▪ N3

ნომერში:

პრემიერ-მინისტრის ანგარიში

გვ. 2

20 ნოემბერი – ფერმერის დღე

გვ. 4

მოცვის წარმოების საინვესტიციო შესაძლებლობები

გვ. 10

ბევრი ვიფიქრეთ, სანამ გაზეთის გამოშვების გადაწყვეტილებას მივიღებდით. არგუმენტი გაზეთის გამოცემის საჭიროებასა და მნიშვნელობაზე იყო ბევრი და დამაჯერებელი. გაზეთს „ჩვენი სოფელი“ დაერქვა და დეკემბრის ბოლოს თქვენს წინაშე მისი მესამე ნომერია.

ვფიქრობთ, ჩვენ სამინისტროს მთავარ სეგმენტთან - მეწარმეებთან, ფერმერებთან და გლეხებთან - მეტი კომუნიკაცია, მათთვის ყველა განხორციელებული საქმიანობის ანგარიშის და სამომავლო გეგმების გაცნობა ჩვენი ვალდებულებაა.

ჩვენმა გაზეთმა მეწარმეები, ფერმერები, გლეხები მთავარი, ბაზისური ინფორმაციით უნდა უზრუნველყოს. გაზეთის საშუალებით შესაძლებელი უნდა იყოს ყველაზე მიუვალ სოფელშიც კი იცოდნენ რას აკეთებს სოფლის მეურნეობის სამინისტრო მათი ცხოვრების გაუმჯობესებისთვის - რა პროგრამები იგეგმება და ხორციელდება, რა ახალი ტექნოლოგიების და თანამედროვე სტანდარტების დანერგვაა საჭირო და სავალდებულო, სად შეიძლება ცოდნის გაღრმავება და კონსულტაციის მიღება, რომელი საერთაშორისო და დონორი ორგანიზაციები გვიდგანან მხარში და ა.შ.

ვფიქრობთ, ჩვენი გაზეთის საშუალებით აღნიშნულ მიზანს მივაღწევთ.

2016 წელს საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტრო აგრარული დარგის ხელშემწყობი ახალი პროექტებითა და გეგმებით ხვდება.

ჩვენს ქვეყანას სოფლის მეურნეობის განვითარების დიდი პოტენციალი აქვს. ჩვენ უნდა მაქსიმალურად გამოვიყენოთ ჩვენი შესაძლებლობები. აგრარული დარგის წინსვლას უმნიშვნელოვანესი როლი აქვს ქვეყნის ეკონომიკის განვითარებაში.

მომავალი წლიდან „ჩვენი სოფელი“ ყველა ღონისძიების შესახებ ამომწურავ ინფორმაციას მიიტანს მკითხველამდე.

2015 წლის ბოლო ნომრის საშუალებით მინდა მოგილოცოთ დამდეგი შობა და ახალი წელი! გისურვოთ დღეგრძელობა და წარმატებები!

საქართველოს სოფლის მეურნეობის მინისტრი ოთარ დანელია

საქართველოს პრემიერ-მინისტრმა ირაკლი ღარიბაშვილმა

მთავრობის სამწლიანი საქმიანობის ანგარიში წარადგინა

ძლიერი სახელმწიფო ინსტიტუტები, გამჭვირვალე მმართველობის სისტემა, ევროპული და ევროატლანტიკური ინტეგრაციისკენ გადადგმული ნაბიჯები, ენერგეტიკული პროექტები, ჯანდაცვისა და განათლების ხელმისაწვდომობა, სოფლის მეურნეობის აღორძინება, ეკონომიკის განვითარება, კულტურის სტრატეგიის დოკუმენტისა და სამოქმედო გეგმის შემუშავება, სპორტული წარმატებები, დეპოლიტიზებული სამართალდამცავი სტრუქტურები, კონკურენტული ბიზნესგარემო, სასამართლო ხელისუფლების დამოუკიდებლობა, გაუმჯობესებული საარჩევნო და შრომის კანონმდებლობა- საქართველოს პრემიერ-მინისტრმა, ირაკლი ღარიბაშვილმა მთავრობის სამწლიანი საქმიანობის ანგარიში წარადგინა. “ყველას გვინდა კარგად ვცხოვრობდეთ დღესვე, მაგრამ ყველაზე მეტად გვინდა, რომ ჩვენ მიერ გამოვლილი განსაცდელებისა და ტრაგედიებისგან დავაზღვიოთ შვილები, უზრუნველვყოთ მათი მომავალი. გავძლიერდეთ რეალურად, და არა ცხრილებსა თუ პროპაგანდისტულ კამპანიებში. შრომის პროცესი არ არის სენსაცია, ის ყოველთვის არ ხვდება ნიუსებში. ხშირად თვით შრომის შედეგებიც არ ხვდება მედიაში. რა თქმა უნდა ჩვენ გვახსოვს სატელევიზიო მითებზე დაფუძნებული ხელისუფლება. მაგრამ ქართული საზოგადოება აღარაა თანახმა ილუზიებში იცხოვროს. ჩემი დღევანდელი ანგარიშის უმთავრესი საგანი იყო შრომა - მევენახეების თუ მეცნიერების, ბიზნესმენების თუ საჯარო მოხელეების... ამგვარი შრომა ნაბიჯ-ნაბიჯ, თანმიმდევრულად ქმნის ახალ რეალობას, რომელშიც არ რჩება ადგილი ილუზიებისთვის. მჯერა, რომ დღეს ჩვენი ხალხი ხედავს ამ რეალობას. რომ სწორი გზით მივდივართ ჩვენი და ჩვენი შვილების უკეთესი ხვალინდელი დღისკენ. ჩვენ ყველაფერს ვაკეთებთ იმისთვის, რომ ამ ხალხის საკადრისი ხელისუფლება ვიყოთ. აღჭურვილი ვართ რწმენითა და ენერგიით, მომავლის მკაფიო ხედვით. ჩვენ გუნდს ამოძრავებს ერთადერთი ამბიცია - რომ როდესაც წლების შემდეგ ჩვენ საქმეებს გაიხსენებენ, თქვან, რომ ყველაფერი გავაკეთეთ დიდი ნდობისა და პატივის გასამართლებლად, ჩვენი ნიჭიერი, ღირსეული ხალხის თავდაუზოგავი მსახურებისთვის,”- განაცხადა პრემიერ-მინისტრმა.

ვრცელ გამოსვლაში ირაკლი ღარიბაშვილმა მთავრობის ძირითად მიღწევებზე ისაუბრა და სამომავლო გეგმები დასახა. მისი თქმით კოალიცია “ქართული ოცნების” გუნდი ყველაფერს გააკეთებს იმისთვის, რომ გაამართლოს ხალხის ნდობა. საქართველოს მთავრობის მეთაურის ანგარიშს აღმასრულებელი და საკანონმდებლო ხელისუფლების წევრები, მთავრობის ადმინისტრაციის, დიპლომატიური კორპუსის, საერთაშორისო და არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლები, განათლებისა და კულტურის სფეროს მოღვაწეები, თავდაცვისა და შინაგან საქმეთა სამინისტროების თანამშრომლები, ბიზნესმენები, იძულებით გადაადგილებული პირები, სპორტსმენები, ეთნიკური უმცირესობის წარმომადგენლები, სტუდენტები, ჯანდაცვისა და სხვა სფეროების წარმომადგენლები დაესწრნენ.

სოფლის მეურნეობის სამინისტრო ევროკავშირის რეკომენდაციების შესრულებას აქტიურად აგრძელებს

სოფლის მეურნეობის მინისტრმა, ოთარ დანელიამ ბათუმში, მედიატურის ფარგლებში გამართულ პრეს-კონფერენციაზე საქართველოს მიერ ვიზების ლიბე-რალიზაციის სამოქმედო გეგმის შესრულებასთან დაკა-ვშირებით, ევროკომისიის მხრიდან დადებითი შეფასების მნიშვნელობაზე ისაუბრა და აღნიშნა, რომ ეს, კიდევ ერთი წინ გადადგმული ნაბიჯი და საქართველოს უხლესი ისტორიის მანძილზე ერთ-ერთი ყველაზე დიდი მიღწევაა.

„ეს გახლავთ აღიარება იმისა, რომ ყველა ცვლილება, ყველა რეფორმა, რასაც საქართველოს მთავრობა ახორციელებს, არის წარმატებული და არის აღიარებული მთელი საერთაშორისო თანამეგობრობის მიერ. მოხარული ვარ, რომ თითოეული ჩვენგანი ამ ისტორიული მოვლენის მომსწრენი ვართ. საბოლოო მიზნის მისაღწევად, ჩვენზე ძალიან ბევრი რამ არის დამოკიდებული. უნდა აღინიშნოს, რომ ევროკავშირთან ,,ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი სავაჭრო სივრცის შესახებ შეთანხმების“ (DCFTA) ფარგლებში სოფლის მეურნეობაზე მოდის საკმაოდ დიდი დატვირთვა - საქართველოს რამდენიმე ასეული დირექტივა აქვს შესასრულებელი. აღნიშნული მიმართულებით სოფლის მეურნეობის სამინისტროს აქტიური მუშაობა უკვე დაწყებული აქვს. უკვე მიღებულია არაერთი მნიშვნელოვანი რეგლამენტი. არსებობს სამოქმედო გეგმა და საქართველოს პრემიერ-მინისტრის უშუალო ხელმძღვანელობით, ამ პროცესების მიმდინარე სტატუსებთან დაკავშირებით ანგარიშგება ხორციელ-დება“, - აღნიშნა ოთარ დანელიამ.

სოფლის მეურნეობის მინისტრის განცხადებით, წინა-საახალწლოდ ასეთი პოზიტიური მოვლენები მოქა-ლაქეთა განწყობაზეც დადებითად მოქმედებს. ოთარ დანელიას განმარტებით, ის, რაც პოლიტიკურ სივრცეში საქართველოსთან მიმართებაში ხდება, ცალსახად პოზიტივია. ეს კი, ბუნებრივია, დადებით გავლენას სხვა მიმართულებით, სხვა დარგებზეც იქონიებს.

ევროკომისიამ ვიზალიბერალიზაციასთან დაკავშირებით საქართველოს შესახებ პოზიტიური ანგარიში გამოაქვეყნა

საქართველომ წარმატებით შეასრულა ვიზალიბერა-ლიზაციის სამოქმედო გეგმის ყველა ტექნიკური პირობა;

„სავიზო რეჟიმის ლიბერალიზაციის სამოქმედო გეგმის“ საქართველოს მიერ შესრულების შესახებ მიმდინარე ანგარიში ევროკომისიის ოფიციალურ ვებგვერდზე გამო-ქვეყნდა. ანგარიშში ნათქვამია, რომ საქართველომ ვიზალიბერალიზაციის სამოქმედო გეგმით ნაკისრი ვალდე-ბულებები შეასრულა.

დოკუმენტი საქართველოს შესახებ დადებით შეფა-სებებს შეიცავს. კონკრეტულად, მასში ნათქვამია, რომ საქართველომ ვიზალიბერალიზაციის სამოქმედო გეგმით ნაკისრი ყველა ვალდებულება შეასრულა.ევროკომისიას მიაჩნია, რომ სავიზო ლიბერალიზაციის გეგმის ოთხივე ნაწილში საქართველოს მიერ განხორციელებული პროცე-დურები შეესაბამება ევროპულ და საერთაშორისო სტანდა-რტებს. ეს არის ევროკომისიის ბოლო, რიგით მეოთხე ანგარიში საქართველოს მიერ ვიზალიბერალიზაციის სამოქმედო გეგმის შესრულებასთან დაკავშირებით.

„საქართველომ კიდევ ერთხელ დაამტკიცა, რომ “აღმოსავლეთ პარტნიორობის” ლიდერია. პასუხად ევროპა ამბობს, რომ ღიაა საქართველოს მოქალაქეებისთვის. დღეს ჩვენ თანამედროვეთა და მრავალი თაობის ოცნება ახდა. მიუხედავად მრავალი შიდა თუ გარე წინააღმდეგობისა, ხალხისა და ხელისუფლების ერთობლივი ძალისხმევით - შედეგი მიღწეულია. ამ ისტორიული გადაწყვეტილებით ქვეყნის განვითარების ახალი ეტაპი იწყება. საქართველოს წინაშე სრულიად ახალი შესაძლებლობები ისახება. ევროპელებთან ცოდნისა და გამოცდილების ურთიე-რთგაზიარება, ყველა დონეზე ურთიერთობათა გაღრმავება, ქალაქების დაძმობილება, სტუდენტური და სამოქალაქო გაცვლითი პროგრამები, ევროპის ასოციაციებში გაწევრიანება, თავისუფალი ვაჭრობა - სულ მალე ეს ყველაფერი სრულიად ახალ, უფრო ღრმა და შინაარსიან განზომილებას შეიძენს. ჩვენი მოქალაქეები შეძლებენ ევროკავშირში ნახევარი წლის განმავლობაში 90 დღის მანძილზე უვიზოდ შესვლას. შეგეძლებათ ევროპაში იმოგზაუროთ ოჯახთან ერთად, დაგეგმოთ საქმიანი ვიზიტი, ეწვიოთ მეგობრებს, ნათესავებს, ჩაერთოთ საზაფხულო სკოლებში, მონაწილეობა მიიღოთ კონფერენციებსა თუ გამოფენებში“, - განაცხადა საქართველოს პრემიერ-მინისტრმა.

საქართველო, თბილისი, 0159, მარშალ გელოვანის გამზ. №6 ელ-ფოსტა: infomoa@moa.gov.ge ცხელი ხაზი (+995 32) 247 01 01

ოთარ დანელია: საქართველო უნდა გახდეს აგროსასურსათო პროდუქტების ექსპორტიორი ქვეყანა

სოფლის მეურნეობის სამინისტრომ სამწლიანი მუშაობის შედეგები განსხვავებულ გარემოში შეაჯამა. 20 ნოემბერი ფერმერთა დღედ გამოცხადდა, ხოლო მინისტრმა ოთარ დანელიამ წარმატებული ფერმერები დააჯილდოვა. წლების წინათ, სოფლის მეურნეობა ეკონომიკის ყველაზე ჩამორჩენილ დარგად სახელდებოდა. ბოლო 3 წელიწადში კი, ამ მიმართულებით უამრავი პროექტი განხორციელდა, მოწესრიგდა განადგურებული სარწყავი სისტემები, დამუშავდა ყამირი მიწები, დაფინანსდა ათეულობით აგროსაწარმო, შეიქმნა კოოპერატივები.

სოფლის მეურნეობის სამინისტროს სამწლიანი მუშაობის ანგარიშის პრეზენტაციას საქართველოს მთავრობისა და პარლამენტის წევრები, საქართველოში აკრედიტებული დიპლომატიური კორპუსის, არასამთავრობო და დონორი ორგანიზაციებისა და მედიის წარმომადგენლები ესწრებოდნენ.

სოფლის მეურნეობის მინისტრმა ოთარ დანელიამ, სამინისტროს საქმიანობის სამწლიან ანგარიშთან ერთად, დარგის განვითარების გეგმაც წარმოადგინა. აღსანიშნავია, რომ წლების განმავლობაში არ არსებობდა მსგავსი დოკუმენტი. ამჯერად კი, წარმოდგენილ სტრატეგიაში მკაფიოდ განისაზღვრა საქართველოს სოფლის მეურნეობის განვითარების ხედვა 2015-2020 წლებისთვის, რაც მდგრადი განვითარების პრინციპებზე დაყრდნობით, ითვალისწინებს ისეთი გარემოს შექმნას, რომელიც ხელს შეუწყობს აგროსასურსათო სექტორში კონკურენტუნარიანობის ამაღლებას, მაღალხარისხიანი პროდუქციის წარმოების სტაბილურ ზრდას, სასურსათო უსაფრთხოების უზრუნველყოფას, სურსათის უვნებლობასა და სოფლად სიღარიბის დაძლევას.

„სამინისტროს მუშაობის ერთ-ერთი მთავარი მიზანი საქართველოს აგროსასურსათო სექტორის საექსპორტო პოტენციალის მაქსიმალური გამოყენების ხელშეწყობაა. იმპორტიორი ქვეყნის ნაცვლად, საქართველო უნდა გახდეს აგროსასურსათო პროდუქტების ექსპორტიორი ქვეყანა“, - განაცხადა მინისტრმა და სასურსათო უსაფრთხოების მიზნით, ქვეყანაში თვითუზრუნველყოფის დონის ამაღლებიზე გაამახვილა ყურადღება.

ამასთანავე, ოთარ დანელიამ ხაზგასმით აღნიშნა, რომ მთავრობის ძალისხმევით, საერთაშორისო და დონორი ორგანიზაციების მხარდაჭერით, ასევე კერძო სექტორის აქტიურობით ქვეყანამ აგრარული დარგის განვითარების მიმართულებით მნიშვნელოვან შედეგს მიაღწია.

მნიშვნელოვანია ისიც, რომ 18-20 ნოემბერს საგამოფენო ცენტრ „ექსპო ჯორჯიაში“ ერთ-ერთი ყველაზე მასშტაბური „სოფლის მეურნეობის, კვების მრეწველობის, გადამამუშავებელი და შემფუთველი ტექნოლოგიების მე-15 საერთაშორისო გამოფენა“ გაიმართა. პირველად, ევროკავშირის დახმარებით მთელი პავილიონი დაეთმო სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების პროდუქციის გამოფენა-გაყიდვას, ხოლო სამინისტროს ორგანიზებით, ათასობით ფერმერს მიეცა საშუალება გამოფენის მონაწილე და დამთვალიერებელი ყოფილიყო.

20 ნოემბერი ფერმერის დღედ გამოაცხადა. სპეცილურად ამ დღესთან დაკავშირებით, მინისტრმა აგრარული დარგის განვითარებაში შეტანილი წვლილისთვის საქართველოს სხვადასხვა კუთხიდან სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივებს და ფერმერებს სპეციალური მედლები და ჯილდოები გადასცა.

ფერმერებმა აღნიშნეს, რომ ბოლო წლებში სახელმწიფოს დახმარებით მნიშვნელოვან წარმატებას მიაღწიეს. მათი ბიზნესი გაფართოვდა და შესაძლებლობა მიეცათ საექსპორტო დანიშნულების პროდუქტი აწარმოონ.

ჩოხატაურის რაიონში მცხოვრები ფერმერი ალექსანდრე მჟავია იმ წარმატებულ ფერმერებს შორის მოხვდა, რომელიც მინისტრმა დააჯილდოვა. ალექსანდრე მჟავია მეფუტკრეობას მისდევს და ევროკავშირში თაფლის ექსპორტზე გასატანად ემზადება.

„ჩვენი ძალებით წამოვიწყეთ ბიზნესი და ახლა გვაქვს რეალიზაციის მეტი შესაძლებლობა. ძალიან გახარებული ვარ, რომ დამაფასეს და დამაჯილდოვეს, როგორც წარმატებული ფერმერი. სახელმწიფოს მიერ ასეთი მხარდაჭერა და თანადგომა არასოდეს გვიგრძნია. ახლა ვემზადებით ევროკავშირში თაფლის ექსპორტისთვის, ეს იქნება ჩვენთვის ძალიან დიდი შესაძლებლობა, - ამბობს ალექსანდრე მჟავია.

სპეციალისტები აღნიშნავენ, რომ ბოლო სამი წლის განმავლობაში სოფლის მეურნეობაში იმდენი რამ გაკეთდა, რაც ათეული წლის განმავლობაში არ გაკეთებულა. 2013-15 წლებში სამელიოროაციო ინფრასტრუქტურის 87 სარეაბილიტაციო პროექტი გახორციელდა. სარეაბილიტაციო პროექტების ჯამურმა ღირებულებამ 62 მილიონი ლარი შეადგინა. შედეგად, დღეისათვის სარწყავი წყალით უზრუნველყოფილი მიწის ფართობი შეადგენს 97 000 ჰექტარს, ხოლო დამშრალია 28 375 ჰექტარი ჭაობიანი ადგილი.

ამასთანავე, სარეაბილიტაციო სამუშაოები ჩაუტარდა: 420 კმ სადრენაჟე არხს, 721 კმ საირიგაციო არხს, 11 ერთეულ სატუმბ სადგურს. სამინისტროს ინფორმაციით, „საქართველოს მელიორაციაში“ 2015 წელს შეიქმნა მობილური მელიორაციის სამსახური. მობილური სატუმბების მეშვეობით მოირწყა 200 ჰექტარზე მეტი მიწის ფართობი (20 ნოემბრის მონაცემებით).

2013 წლიდან, აგრარულ დარგში სასოფლო-სამეურნეო კოოპერაციის პროცესი დაიწყო. დღეისათვის, საქართველოს მასშტაბით, სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივის სტატუსი მინიჭებული აქვს 1203 კოოპერატივს, სადაც 8730 მეპაიე გაერთიანებული (20 ნოემბრის მონაცემებით).

ძალიან წარმატებული და მასშტაბური კოოპერატივია - „დარჩელის თხილი“, რომელშიც 542 კაცია გაწევრიანებული. სახელმწიფო პროგრამის „თხილის წარმოების განვითარება სასოფლო-სამეურნეო კოოპერაციის ხელშეწყობის გზით“ ფარგლებში ზუგდიდში აშენდა თხილის საწარმო. მიღებულია გადაწყვეტილება, რომ საწარმო იჯარით 1 ლარად „დარჩელის თხილს“ გადაეცეს.

ასევე ხაზგასასმელია ისიც, რომ შემუშავდა და ამოქმედდა „მეფუტკრეობის სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების მხარდაჭერის სახელმწიფო პროგრამა“.

რთველი 2013 და რთველი 2014 წარმატებით ჩატარების მიზნით, ამოქმედდა სუბსიდიისა და შეღავათიანი აგროსესხების პროგრამა. 2013-15 წლებში მევენახეებმა კახეთსა და რაჭა-ლეჩხუმის რეგიონში ჯამში 400 მილიონ ლარამდე შემოსავალი მიიღეს. როგორც ცნობილია, ქვევრის ღვინის დაყენების ქართულ ტრადიციულ მეთოდს 2013 წელს იუნესკოს არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობის ძეგლის სტატუსი მიენიჭა.

რაც შეეხება ღვინის ექსპორტს, 2013 წელს ქვეყნის ფარგლებს გარეთ გადატვირთული იყო 46,7 მილიონი ბოთლი ღვინო, რაც 2-ჯერ აღემატება 2012 წლის ექსპორტის მონაცემებს. 2014 წელს, ბოლო 20 წლის განმავლობაში რეკორდული რაოდენობის - 59 მილიონი ბოთლი ღვინო გავიდა ექსპორტზე. 2015 წლის 10 თვის მონაცემებით, საქართველოდან ექსპორტირებულია 23 მილიონი ბოთლი ღვინო.

2014 წელს, პირველად საქართველოში, ვენახების კადასტრის მასშტაბური პროექტის განხორციელება დაიწყო. პროექტი 2014 წელს რაჭა-ლეჩხუმის რეგიონში განხორციელდა, ხოლო 2015 წლიდან კახეთში, ყვარლის რაიონში მიმდინარეობს.

ასევე უმნიშვნელოვანესი ფაქტია ის, რომ გაიზარდა სამომხმარებლო ბაზარზე განთავსებული სურსათის კონტროლი, ვადაგასული სურსათის რეალიზაციის ფაქტების გამოვლენა და აღკვეთა.

ქვეყნის მასშტბით ხორციელდება ცხოველთა ვაქცინაციის პროგრამა. მიმდინარეობს მსხვილფეხა ცხოველთა იდენტიფიკაცია-რეგისტრაციის პროგრამა, ვეტერინარული პრეპარატების ხარისხისა და უსაფრთხოების კონტროლი, სასაკლაოებზე ვეტერინარული ზედამხედველობა.

შემუშავდა ბრუცელოზის კონტროლის 2016-18 წლების გრძელვადანი სტრატეგია. მასშტაბური ღონისძიებების შედეგად, დასავლეთ საქართველოში მინიმუმამდე შემცირდა ამერიკული თეთრი პეპლის მიერ გამოწვეული ზარალი. სამი წლის განმავლობაში, აღმოსავლეთ საქართველოში კალიების გავრცელების წინააღმდეგ დამუშავებულია 100 000 ჰექტარზე მეტი სავარგულები. 2015 წელს პირველად განხორციელდა კოღოს საწინააღმდეგო ღონისძიებები დასავლეთ საქართველოს ზღვისპირა ზოლში, სადაც დამუშავდა 3000 ჰექტარზე მეტი ფართობი.

2015 წლის ზაფხულიდან ძალაში შევიდა რძისა და თაფლისა რეგლამენტი და საქართველოს კანონი გენეტიკურად მოდიფიცირებული ორგანიზმებისა და მათგან წარმოებული გენმოდიფიცირებული პროდუქტების ეტიკეტირების შესახებ. შემუშავდა ხორბლის ფქვილის ტექნიკური რეგლამენტი, რომელიც ძალაში 2016 წლის პირველი იანვრიდან შევა. მიმდინარეობს მუშაობა პურის ტექნიკურ რეგლამენტზე.

2014 წლის მარტში სოფლის მეურნეობის სამინისტროს ლაბორატორიამ საერთაშორისო აკრედიტაცია მიიღო და ISO 17 025 სტანდარტი დანერგა, რაც საერთაშორისოდ აღიარებულს ხდის ყველა იმ გამოკვლევის შედეგს, რომელსაც ლაბორატორია ატარებს. სულ ქვეყნის მასშტაბით საქართველოს სოფლის მეურნეობის 11 ლაბორატორიაა. აიგო და აღიჭურვა საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისი ფიტო-სანიტარიული ლაბორატორია.

საქართველოს აგრარულ სექტორში სამეცნიერო კვლევითი საქმიანობის აღდგენის მიზნით, შეიქმნა სსიპ „სოფლის მეურნეობის სამეცნიერო-კვლევითი ცენტრი“. თანამედროვე ტექნიკით აღიჭურვა ვირუსოლოგიისა და ქსოვილის კულტურის (ინ-ვიტრო) ლაბორატორიები.

ერთ-ერთ წარმატებულ პროგრამად სახელდება - „შეღავათიანი აგროკრედიტის“ პროექტი”. პროექტის ფარგლებში მეწარმეებსა და ფერმერებს იაფი ფინანსური რესურსის მიღების შესაძლებლობა გაუჩნდათ. დღეის მდგომარეობით, სულ გაცემულია 25,2 ათასი კრედიტი. პროექტის ფარგლებში ლარში გაცემულია 24 ათასი სესხი და გაცემული თანხა შეადგენს 642,488 მილიონ ლარს, დოლარში გაცემული სესხების რაოდენობაა - 1,2 ათასი სესხი და გაცემული თანხა შეადგენს 163,176 მილიონ დოლარს.

აგროსექტორში სადაზღვევო ბაზრის განვითარების მიზნით, 2014 წლის სექტემბრიდან აგროდაზღვევის საპილოტე პროგრამა დაიწყო. 2014-15 წლებში აგროდაზღვევის პროგრამით, ჯამში, 27 ათასი პოლისია გაცემული. დაზღვეულია 180 მილიონი ლარის ღირებულების სხვადასხვა კულტურა. სააგენტოს მიერ გადასახდელი სუბსიდირების თანხა შეადგენს 13,545 მილიონ ლარს (20 ნოემბრის მონაცემებით).

განხორციელდა მცირემიწიან ფერმერთა საგაზაფხულო სამუშაოების ხელშეწყობის სამწლიანი პროექტი. 2013 წლიდან, ყოველწლიურად დახმარებას 800 000-მდე გლეხი იღებს და 220 ათას ჰექტარზე მეტი მიწა მუშავდება. ასევე 2015 წლის 6 მარტიდან დაიწყო პროექტი „დანერგე მომავალი“, რომლის ფარგლებში (ბაღების გაშენების კომპონენტი) დამტკიცებულია 52 პროექტი. გაშენებულია 89.63 ჰა ინტენსიური ტიპის ბაღი.ამჟამად მიმდინარეობს 322 ჰა ბაღის გაშენება.

20 ნოემბერი - ფერმერის დღე

სოფლის მეურნეობის მინისტრის, ოთარ დანელიას ინიციატივით 20 ნოემბერი ფერმერის დღედ გამოაცხადა. 2015 წლის 20 ნოემბერს „ფერმერის დღე“ საქართველოში პირველად აღინიშნა. ამ დღესთან დაკავშირებით, ოთარ დანელიამ აგარარული დარგის განვითარებაში შეტანილი წვლილისთვის საქართველოს სხვადასხვა კუთხიდან სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივებს და ფერმერებს სპეციალური მედლები და ჯილდოები გადასცა.

ღონისძიების ფარგლებში დაჯილდოვდნენ ფერმერები: ნოდარ ტუხოსაშვილი, ზურაბ მარსაგიშვილი, მიხეილ ედილაშვილი, კონსტანტინე ბოჭოიძე, გიორგი კალატოზიშვილი, ნანი დათაშვილი, მკრტიჩ მოვსესიანი, ჯემალ ართმელაძე, ალექსანდრე მჟავია, შოთა გელოვანი, ომარ ნასყანანი, ზურაბ ჯანელიძე, ირაკლი კერვალიშვილი, გიორგი მჭედლიძე, შპს იმერეთი გრინერი“ და კოოპერატივები: რაჭის ნატურალური პროდუქტები“ და დარჩელის თხილი“.

სოფლის მეურნეობის სამინისტრო თითოეულ ფერმერს ულოცავს ამ დღეს და ნაყოფიერ საქმიანობას უსურვებს.

ფერმერი – ზურაბ მარსაგიშვილი

რეგიონი: მცხეთა -მთიანეთი
მუნიციპალიტეტი - მცხეთა
ტერიტორიული ორგანო - წილკანი
სოფელი - ერედა
იაფი აგროკრედიტის პროექტის ფარგლებში შეიძინა 100 სული მაღალპროდუქტიული თხები ავსტრიიდან
პროექტის ფარგლებს გარეთ დამატებით შემოიყვანა 50 სული მერინოსის ჯიშის ცხვარი

ფერმერი – მიხეილ ედილაშვილი

რეგიონი - შიდა-ქართლი
მუნიციპალიტეტი - ქარელი
ფლობს მსხვილ მეურნეობას: 39 ჰა მიწა (აქედან 24 მრავალწლოვანია (ვაშლი, ქლიავი) ხოლო დანარჩენი ბოსტნეულს უკავია), სამაცივრე მეურნეობა 600 ტონაზეა გათვლილი და საჩითილე მეურნეობა 500 კვ/მ (სათბური)
ყოველწლიურად აწარმოებს 1000 ტონაზე მეტ ბოსტნეულს და 300 ტონამდე ხეხილს
10 ჰა თანამედროვე ხეხილის ბაღის მოსაწყობად ისარგებლა გრძელვადიანი დაბალპროცენტიანი კრედიტით 230 000 აშშ დოლარით 7 წლის ვადით, ასევე ყოველწლიურად მეურნეობის საბრუნავი საშუალებებისათვის სარგებლობს აგროკრედიტით 100 000 ლარის ოდენობით

ფერმერი – გიორგი კალატოზიშვილი

რეგიონი - კახეთი
მუნიციპალიტეტი - თელავი
სოფელი - აკურა
ფლობს საქონლის ფერმას
მეურნეობა გააფართოვა 2014 წლიდან შეღავათიანი აგროკრედიტის ფარგლებში აწარმოებს რძეს (თვეში 6000 ლ), რომლის რეალიზაცია ხდება ადგილობრივ ბაზარზე
დასაქმებული ჰყავს 10 ადამიანი

ფერმერი – ნანი დათაშვილი

რეგიონი: სამცხე-ჯავახეთი
მუნიციპალიტეტი: ასპინძა
სოფელი: ხიზაბავრა
აქვს ყველის საწარმო ვაიოსველი“. აწარმოებენ პარმეზანის ტიპის ყველს, ხიზაბავრული ბატისტა“, ყველი იწარმოება იტალიური ტექნოლოგიით შეზავებული ქართული რეცეპტებით. სეზონზე ხდება 5 ტონა ყველის წარმოება.
სარეალიზაციო არხები: კარფური, გუდვილი და თბილისის სუპერმარკეტები; აგრეთვე აწარმოებენ ხაჭოს, მაწონს და ქართულ ყველს; გარდა ამისა, საწარმოს აქვს 500 ჰა მიწის ფართობი, სადაც მოჰყავთ კარტოფილი, ხოლო დანარჩენ ტერიატორიას იყენებენ საძოვრად;
აქვთ 2 ფერმა, 50 მეწველი ფურით, სამომავლოდ აპირებენ ფერმების გაფართოებას.

ფერმერი – მკრტიჩ მოვსესიანი

რეგიონი: სამცხე - ჯავახეთი
მუნიციპალიტეტი: ახალციხე
სოფელი: სხვილისი
ფერმერულ მეურნეობას მისდევს 30 წელია
საჰექტარო მოსავლიანობა: ხორბალი 7-8 ტონა/ჰა; კარტოფილი - 30-40 ტონა/ჰა.
პირველმა დაიწყო ახალი ჰიბრიდული ხახვის მოყვანა და ბოლო 5-6 წელია მოსავლიანობა შეადგენს 60- 80 ტონა/ჰა-ს
გაშენებული აქვს თანამედროვე ინტენსიური ხეხილის ბაღი და ბოსტნეულ კულტურებს აწარმოებს წვეთოვანი სისტემის გამოყენებით.

ფერმერი – ალექსანდრე მჟავია

რეგიონი: გურია
მუნიციპალიტეტი: ჩოხატაური
სოფელი: ზემოხეთი
2002 წლიდან დაკავებულია მეფუტკ-რეობის საოჯახო მეურნეობით და ამჟამად უვლის 300 ოჯახს
წელიწადში აწარმოებს 5-6 ტონა თაფლს
თაფლის ნიმუშმა მიიღო დადებითი შეფასება გერმანიის ლაბორატორიის მიერ

ფერმერი – შოთა გელოვანი

რეგიონი: სამეგრელო-ზემო სვანეთი
მუნიციპალიტეტი: წალენჯიხა
სოფელი: ეწერი
აწარმოებს ჩაის მიღება-გადამუშავე-ბას და უშვებს შავი ბაიხის ჩაის
ყოველწლიურად აწარმოებს 5 ტონა მზა პროდუქციას
გააჩნია კივის სადემონსტრაციო ნაკვეთი 1 ჰა-ზე, რომელიც ყოველწლიურად ღებულობს 20-30 ტონა პროდუქციას
მას ეკუთნის იდეა წალენჯიხის პირობებში კივის ნაყოფის ღია ცის ქვეშ შენახვის ტექნოლოგიაზე

ფერმერი – ომარ ნასყანანი

რეგიონი - სამეგრელო-ზემო სვანეთი
მუნიციპალიტეტი - მესტია
სოფელი - ლატალი
საქმიანობა - მესაქონლეობა, მებოსტნეობა (სასათბურე და ღია გრუნტზე) მეხილეობა და მეფუტკრეობა
აწარმოებს 2 ტონამდე ყველსა და ხორცს
შვეიცარიული ტექნოლოგიის გამოყენებით შეისწავლა ყველის ახალი სახეობის მუჩლის“ და ფორმაჩინის“ წარმოება
კარტოფილის ახალი ჯიშების გამოყენებით მიიღო 40 ტონა კარტოფილი ჰექტარზე
დამატებით აწარმოებს 300 კგ მაღალი ხარისხის თაფლს და მეფუტკრეობის სხვა პროდუქტებს (სანთელი, დინდგელი, ყვავილის მტვერი და სხვ.) არ იყენებს ქიმიურ-სინთეზურ პრეპარატებს

ფერმერი – ზურაბ ჯანელიძე

რეგიონი: იმერეთი
მუნიციპალიტეტი: წყალტუბო
სოფელი: ტყაჩირი
ჰერბია“
აქვს 33 სათბური აქედან კაპიტალური 1 და 32 ნახევრად კაპიტალური.
დამონტაჟებულია მორწყვის, გათბობის, გაგრილების სისტემები. გააჩნია 2 სამაცივრე და სასაწყობო მეურნეობა, სადაც ხდება ბოსტნეულის გარჩევა, შეფუთვა, შენახვა და რეალიზაცია
მიმდინარე წელს წარმოებული აქვს 120 ტონა ბოსტნეული. ფლობს GLOB-AL GAP“ სერთიფიკატს.
მოჰყავს ეკოლოგიურად სუფთა პროდუქტი, იყენებს ბიოჰუმუს.
პროდუქციის რეალიზაცია ხდება თბილისის ყველა სუპერმარკეტში, ასევე, პროდუქცია გააქვს ექსპორტზე ბელგიაში, ბულგარეთში და უკრაინაში.
მუდმივად დასაქმებული ჰყავს 35 ადამიანი და სეზონზე 50-ზე მეტი.

საქართველო, თბილისი, 0159, მარშალ გელოვანის გამზ. №6 ელ-ფოსტა: infomoa@moa.gov.ge ცხელი ხაზი (+995 32) 247 01 01

20 ნოემბერი - ფერმერის დღე

ირაკლი კერვალიშვილი -„ბლაუენშტაინ საქართველო"

რეგიონი - რაჭა-ლეჩხუმი
მუნიციპალიტეტი - ონი
კომპანია შეიქმნა 2008 წელს, ადგილობრივი საკვები პროდუქტების წარმოების მიზნით აყალიბეს საპილოტე ფერმებს, რომლებიც გამიზნულია სასოფლო-სამეურნეო სფეროში ადგილობრივი პარტნიორების სწავლება/ ფორმირებისთვის. ააშენეს სასაკლაო, რომელიც ფუნქციონირებს გასული წლიდან

შპს იმერეთი გრინერი"

რეგიონი: იმერეთი
მუნიციპალიტეტი: სამტრედია
კომპანია აწარმოებს 800,000 თავ სალათის ფურცელს წელიწადში. გააჩნია მაღალტექნოლოგიური სინ-ძლავრეები და აღჭურვილია ე.წ Hightech ტექნოლოგიით. გააჩნია ჩითილების გამოსაყვანი შენობა, რომელიც ასევე აღჭურვილია თანამედროვე ტექნოლოგიით. დასაქმებულია 30 ადამიანი პროდუქცია იყიდება ადგილობრივ ბაზარზე

კოოპერატივი - რაჭის ნატურალური პროდუქტები

რეგიონი - რაჭა-ლეჩხუმი
მუნიციპალიტეტი - ამბროლაური
რაჭის მეფუტკრეთა ასოციაციის პრეზიდენტი-ლაშა გაგოშიძე საინიციატივო ჯგუფის სახელით მონაწილეობა მიიღო არასამთავრობო ორგანიზაცია PIN-ის (ადამიანი გაჭირვებაში) საგრანტო კონკურსში და დაფინანსდა 76 700 ლარით ტექნიკური გრანტის და თანადაფინანსების თანხის მეშვეობით ამბროლაურის მუნიციპალიტეტში აშენებს ფუტკრის პროდუქტების გადამამუშევებელ საწარმოს

კოოპერატივი დკ ქოლგა"

რეგიონი: სამეგრელო-ზემო სვანეთი
მუნიციპალიტეტი: სენაკი
სოფელი: ნოსირი
ძირითადი საქმიანობაა სასათბურე მეურნეობა მარწყვისა და პომიდვრის წარმოება. სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივს დკ ქოლგა"-ს მიღებული აქვს ევროპის სამეზობლო პროგრამა სოფლისა და სოფლის მეურნეობის განვითარებისთვის პროგრამის (ENPARD) გრანტი სასთბურე მეურნეობის მოწყობისათვის.

კოოპერატივი დარჩელის თხილი"

რეგიონი: სამეგრელო-ზემო სვანეთი
მუნიციპალიტეტი: ზუგდიდი
სოფელი: დარეჩლი
კოოპერატივში 586 მეპაიეა საშრობში ყოველდღიურად შესაძლებელია 24 ტონა ნაჭუჭიანი თხილის გაშრობა და ერთდროულად 500 ტონა ნაჭუჭიანი თხილის დასაწყობება

გიორგი მჭედლიძე

რეგიონი: შიდა ქართლი
მუნიციპალიტეტი: გორი, სოფელი ზემო ნიქოზი
სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივი „ზემო ნიქოზი", დასაქმებულია 20 ადგილობრივი. სანერგეში ხორციელდება ამერიკული ჩენდლერის ჯიშის კაკლის სამრეწველო ნერგის წარმოება. სარეალიზაციოდ გამზადებულია 150 ათასი ნერგი. სანერგეში ნუშისა და შინდის ნერგები წარმოება ხდება.დაგეგმილია ზემო ნიქოზში მდებარე 60 ჰექტარ მიწაზე ნუშის ბაღის გაშენება.

ფერმერი - ნოდარ ტუხოსაშვილი

რეგიონი: მცხეთა-მთიანეთი,
მუნიციპალიტეტი: დუშეთი.
სოფელი: ვაკის სოფელი
აწარმოებს შემდეგ სასოფლო-სამეურნეო პროდუქციას:

- მოცვისა და დეკას ჩაი
- დამბალ ხაჭო
- რძის პროდუქტები:
- ყველი, კარაქი და ერბო
- მთის ყვავილების თაფლი
- სტაფილო
- კარტოფილი
- ბოლოკი
- ნიორი
- კიტრი

შექმნა სამთო მექანიზაციის ცენტრი. რომლის მომსახურეობითაც სარგებ-ლობს ათამდე ფერმერი.

ფერმერი - კონსტანტინე ბოჭოიძე

რეგიონი - ქვემო ქართლი
მუნიციპალიტეტი - მარნეული
ფერმერული მეურნეობა გააშენა ვაშლის ბაღი 0,7 ჰა-ზე, იყენებს ირიგაციის თანამედროვე მოწინავე ტექნოლოგიებს, კერძოდ წვეთოვან და სპინკლერებით მორწყვას
50 ჰექტარი მიწა გადანაწილებული აქვს სხვადასხვა კულტურაზე: 26 ჰა ხორბალი; 6 ჰა ხახვი; 4 ჰა სტაფილო; 3 ჰა ჭარხალი; 1,5 ჰა მრავალწლიანი ბალახი
მიმდინარე წელს საჰექტარო მოსავლიანობა - ხორბალი 6 ტონა/ჰა; ხახვი 50 ტონა/ ჰა; სტაფილო 55 ტონა/ ჰა; ჭარხალი 40 ტონა/ჰა; პომიდორი 60 ტონა/ჰა
პროდუქციის რეალიზაციას ახდენს ადგილიდან ბითუმად მოვაჭრეებზე

ფერმერი - ჯემალ ართმელაძე

რეგიონი - აჭარა
მუნიციპალიტეტი - ხულო
ტერიტორიული ორგანო - დეკანაშვილები
სოფელი - ბეღლეთი
აწარმოებს ეკოლოგიურად სუფთა სოფლის მეურნეობის პროდუქტებს:

- მოცვი
- დამბალ ხაჭო

რძის პროდუქტები: ყველი, კარაქი და ერბო

- მთის ყვავილების თაფლი
- სტაფილო
- კარტოფილი
- ბოლოკი
- ნიორი
- კიტრი
- პომიდორი

წარმოებული პროდუქტების რეალიზაცია ხორციელდება ქ. ბათუმში

სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივის შესახებ" კანონში ცვლილებები შევიდა

სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების განვითარების სააგენტო

სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივის შესახებ" საქართველოს კანონში შეტანილი ცვლილებების საფუძ-ველზე შემოდის ახალი ცნებები - ასოცირებული წევრი, ასოცირებული წევრის შენატანი, დამატებითი საპაიო შენატანი, საერთო კრება, კოოპერაციული შემოსავალი. დაზუსტდა ტერმინები - ეკონომიკური მონაწილეობა, საპაიო შენატანი და დემოკრატიული მართვა. ამასთან, განისაზღვრა დივიდენდის გაცემისა და სასოფლო-სამეუ-რნეო კოოპერატივის სარეზერვო ფონდში არსებული თანხის განკარგვის წესები.

კანონში ცვლილებით წესდება შეზღუდვა არაწევრებისგან წარმოებული სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის შესყიდვა-სთან და მომსახურების გაწევასთან დაკავშირებით, კერძოდ, ერთი საანგარიშო წლის განმავლობაში, არაწევრებისგან მიღებული პროდუქციის/მომსახურების ღირებულება არ უნდა აღემატებოდეს კოოპერატივის წლიური სასოფლო-სამეურნეო სასაქონლო ბრუნვის 30%-ს.

მეპაიეთა რეესტრის სავალდებულო წარმოების წესი დადგინდება სოფლის მეურნეობის მინისტრის ბრძანებით.

გრანტების შესახებ" საქართველოს კანონში ცვლი-ლებით, სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების განვი-თარების სააგენტოს მიენიჭა გრანტის გაცემის უფლება. რაც მნიშვნელოვნად გაამარტივებს სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების განვითარების ხელშემწყობი პროგრამების განხორციელებას.

საქართველოში წელს ახალი პრაქტიკა დაინერგა - საუკეთესო პრაქტიკა შეარჩია. ყოველი წლის ბოლოს გამოვლენილი იქნება ქვეყნის სხვადასხვა მუნიციპალიტეტის მიერ განხორციელებული საუკეთესო პროექტები და იდეები. ადგილობრივი თვითმმართველობა - საუკეთესო პრაქტიკა 2015» - ამ სახელწოდებით გაიმართა 12 დეკემბერს თბილისში კონფერენცია, რომელიც საქართველოს პრემიერ-მინისტრმა ირაკლი ღარიბაშვილმა გახსნა და რომელზეც სპეციალური კომისიის მიერ შერჩეული 10 საუკეთესო პრაქტიკის მქონე მუნიციპალიტეტის პირველმა პირმა კოლეგებს თავიანთი გამოცდილება გაუზიარა.

როგორ დაიბადა ეს იდეა და კონკრეტულად რა მიზანს ისახავს ამ ფორმატის დამკვიდრება საქართველოში - ამის შესახებ კონფერენციის ორგანიზატორი, საქართველოს მთავრობის ადმინისტრაციის რეგიონებსა და ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებთან ურთიერთობების დეპარტამენტის უფროსი გიორგი ამაშუკელი გვესაუბრება.

ბატონო გიორგი, როგორ გაჩნდა იდეა და რა სიხშირით მოხდება მუნიციპალიტეტების საუკეთესო პრაქტიკების გამოვლენა?

როგორც მოგეხსენებათ, საუკეთესო პრაქტიკების (BEST PRACTICE) გამოვლენა და გაზიარება მსოფლიოს არაერთ განვითარებულ ქვეყანაში აპრობირებული მეთოდია. ამ პრინციპის საქართველოში დანერგვა ახალ გამოწვევებთან არის დაკავშირებული, თუმცა იდეებისა და პროექტების მრავალფეროვნებამ დაგვარწმუნა, რომ ჩვენს მუნიციპალიტეტებს აქვთ პოტენციალი არა მარტო იმის, რომ ახალი გამოწვევები მიიღონ, არამედ მზად არიან სხვებსაც გაუზიარონ მათ მიერ დანერგილი საუკეთესო პრაქტიკა.

სწორედ ამიტომ, ჩვენ, საქართველოს მთავრობის ადმინისტრაციამ, ადგილობრივი თვითმმართველობის ეროვნულ ასოციაციასთან ერთად, გადავწყვიტეთ, რომ დადგა დრო დავნერგოთ ყოველწლიური კონფერენცია - ადგილობრივი თვითმმართველობა - საუკეთესო პრაქტიკა”.

როგორც კონფერენციაზე საქართველოს პრემიერ-მინისტრმა აღნიშნა, დღევანდელი ხელისუფლება, წინა ხელისუფლებებისგან განსხვავებით, არ შეუშინდა დეცენტრალიზაციას და ხელისუფლების გადანაწილებას. ჩვენი ხელისუფლების მიერ შემუშავებული ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსით, საფუძველი ჩაეყარა ადგილობრივი თვითმმართველობის უპრეცენდენტო რეფორმას. 2014 წლის არჩევნებში საქართველოს მოქალაქეებმა პირველად აირჩიეს პირდაპირი წესით ყველა მუნიციპალიტეტის გამგებლები და მერები.

დეცენტრალიზაცია, ანუ საჯარო ხელისუფლების გადაცემა ცენტრიდან ადგილობრივ თვითმმართველობებზე, გახლავთ ეფექტიანი მმართველობის სისტემის ჩამოყალიბების მართლაც მნიშვნელოვანი შესაძლებლობა. ამის ნათელი მაგალითია ჩვენი მუნიციპალიტეტების მიერ განხორციელებული არაერთი საინტერესო პროექტი, გასხვავებული, ორიგინალური მიდგომები სხვადასხვა პრობლემის თუ გამოწვევის ეფექტიანად გადაჭრის მიზნით.

რა პრინციპით მოხდა საუკეთესო პრაქტიკების შერჩევა და იყო თუ არა სხვა საინტერესო იდეებიც, რომლებიც საუკეთესო ათეულში ვერ მოხვდნენ ?

ძალიან ბევრ მუნიციპალიტეტს აქვს ბოლო ერთი წლის განმავლობაში განხორციელებული ისეთი პროექტები, რომლებიც გამოირჩევიან ახლებური, ორიგინალური მიდგომებით. წელს 70 მუნიციპალიტეტიდან მიღებული ინფორმაციების საფუძველზე, სპეციალურმა კომისიამ 10 საუკეთესო პრაქტიკა შეარჩია.

შეგიძლიათ მოკლედ გაგვაცნოთ, თუ რა სახის პროექტები მოხვდნენ ათ საუკეთესოში?

ვინაიდან 10 საუკეთესო პრაქტიკიდან 2 ქუთაისის მერიას ეკუთვნის, დავიწყებ ქუთაისით. ორიდან ერთ-ერთი არის ქალაქში მონიტორინგის ელექტრონული სისტემის დანერგვა, რაც გულისხმობს შემდეგს: კაპიტალური სამუშაოებისა და ექსპლუატაციას დაქვემდებარებული ობიექტების მოვლის კონტროლის მიზნით, დაინერგა google/drive სისტემა, რომლითაც ხდება მიმდინარე პროექტების ეფექტიანი და ოპერატიული მართვა. მექანიზმი მუშაობს შემდეგნაირად: სპეციალური ჯგუფი ყოველდღე შემოივლის ქალაქს და ყველა პრობლემას აფიქსირებს პლანშეტის მეშვეობით, რომლის ატვირთვაც ხდება google/drive-ზე ავტომატურად, 10 წამიანი სიზუსტით, რის შემდეგაც ყველა შესაბამის სამსახურს აქვს საშუალება და ვალდებულება მოახდინოს პრობლემის სწრაფი იდენტიფიცირება მისი დროულად გადაჭრის მიზნით.

ქუთაისის მუნიციპალიტეტის მეორე პროექტი კი, ქალაქში აღურიცხავი ქონების რეგისტრაციას ითვალისწინებს. უფრო დეტალურად რომ აგიხსნათ, 2014 წლიდან მუნიციპალიტეტში დაინერგა ელექტრონული აუქციონების სისტემა მუნიციპალური ქონების განკარგვის მიზნით, რომლის საფუძველზე გაიზარდა ქუთაისის მუნიციპალიტეტის საპრივატიზაციო ბაზა, მუნიციპალიტეტის ბიუჯეტში შემოსულობების ოდენობა და მუნიციპალიტეტის ეკონომიკური პოტენციალი. პარალელურად კი, მინიმუმამდე შემცირდა კორუფციული რისკები და შეიქმნა კონკურენტული გარემო.

საინტრესოა რუსთავის მუნიციპალიტეტის საუკეთესო პრაქტიკაც, რომელიც ენერგოეფექტიანობას შეეხება და რომლის მიზანი 2020 წლისთვის ქალაქ რუსთავის ტერიტორიაზე ნახშირორჟანგის (CO2-ის) ემისიების მინიმუმ 20%-ით შემცირებაა. ენერგოეფექტიანი ღონისძიებების ფარგლებში, ამ ეტაპზე, ქალაქში ხორციელდება 2 პროექტი: კულტურისა და დასვენების პარკის ენერგოეფექტიანი განათება და 3 საბავშვო ბაგა-ბაღის სრული რეაბილიტაცია ენერგოეფექტიანი სისტემების გამოყენებით. ბაღები გათვლილია 900 ბავშვზე. ამ ნაბიჯებით კი, ყველაფერთან ერთად, მცირდება კომუნალური ხარჯებიც.

რუსთავის მუნიციპალიტეტის გარდა, საუკეთესო პრაქტიკისთვის ქვემო ქართლის რეგიონიდან კიდევ ერთი, მარნეულის მუნიციპალიტეტი დაჯილდოვდა ეთნიკური უმცირესობების ხელშეწყობისთვის განხორციელებული პროექტებისთვის. მარნეულის მუნიციპალიტეტში, სასკოლო მზაობის ცენტრებში მიმდინარეობს სკოლამდელი ასაკის 150-მდე არაქართულენოვანი ბავშვის სასკოლოდ მომზადება ქართულ ენაში. სწავლება დაიწყო 2015 წლის ოქტომბრიდან და მოსწავლეთა რიცხვი დღითიდღე მატულობს.

მოგეხსენებათ, მარნეულში სხვადასხვა ეთნიკური და რელიგიური უმცირესობები ცხოვრობენ. სწორედ ამიტომ, მუნიციპალიტეტის ინიციატივით, 2014 წლიდან ერთიანი კავკასიის“ ფარგლებში იმართება საერთაშორისო ფესტივალი მრავალფეროვანი პროგრამით. გარდა ამისა, მარნეულში სრულდება თანამედროვე სტანდარტებით აღჭურვილი ბიბლიოთეკის მშენებლობა.

ძალიან საინტერესო სოციალური პროექტი აქვს ზუგდიდის მუნიციპალიტეტს, რისთვისაც ის 10 საუკეთესო პრაქტიკაში მოხვდა. უსახლკარო და მძიმე საცხოვრებელი პირობების მქონე პირთა საცხოვრებელი ფართით უზრუნველყოფის მიზნით, ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მიერ 16 ოჯახის (70-მდე ადამიანი) საცხოვრებელი ფართით უზრუნველყოფა მოხდა. ამ ოჯახებს, მათივე კუთვნილ მიწის ნაკვეთებში, ძველი სახლების გვერდით, მუნიციპალიტეტმა ახალი საცხოვრებელი სახლები აუშენა.

ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მსგავსად, სოციალურ სფეროში საუკეთესო პრაქტიკებში მოხვდა საგარეჯოს მუნიციპალიტეტიც, რომელიც შშმ პირებისათვის ყველაზე ადაპტირებულ მუნიციპალიტეტად დასახელდა. 2015 წელს, მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე განხორციელდა ძირითადი გზების რეაბილიტაცია და შშმ პირებისთვის ადაპტირება; ასევე, დასრულდა 4 ბაღის რეაბილიტაცია და მათი ადაპტირება.

კომისიამ საუკეთესო პრაქტიკებში შეარჩია ქალაქ თელავის მუნიციპალიტეტი. თელავი დაძმობილებულ ქალაქებთან და პოტენციურ დონორ ორგანიზაციებთან აქტიურად თანამშრომლობს. გერმანიის ქალაქ ბიბერახისა და ქალაქ თელავის შორის თანამშრომლობის შედეგად, გერმანელი ექსპერტის დახმარებით, თელავის ცნობილ, 900 წლის ჭადარს 2016 წლის გაზაფხულზე ჩაუტარდება კვლევა-სარეაბილიტაციო სამუშაოები (35 000 ლარის ღირებულების), რომელსაც გერმანული მხარე დააფინანსებს.

ძალიან საინტერესო პროექტები აქვს ბორჯომის მუნიციპალიტეტსაც, რომელიც მიზნად ადგილობრივი მოსახლეობისა და ტურისტების საინფორმაციო უზრუნველყოფას ისახავს. მუნიციპალიტეტმა, მოსახლეობის ინფორმირების მიზნით, შექმნა საინფორმაციო ქსელი ბორჯომი ინფო“, რომლის საშუალებითაც ადგილობრივი მოსახლეობა მოკლე ტექსტური შეტყობინებით იღებს ინფორმაციას მუნიციპალიტეტში მიმდინარე ყველა სიახლისა და ღონისძიებების შესახებ. გარდა ამისა, ბორჯომის მუნიციპალიტეტმა განახორციელა ქალაქის ქუჩებსა და მის გარეუბანში საფეხმავლო ბილიკების მარკირება, რაც საფეხმავლო ტურიზმის განვითარებას უწყობს ხელს.

ტურიზმის განვითარების სფეროში განხორციელებული პროექტისთვის, კერძოდ კი მუნიციპალიტეტის ტურისტული პოტენციალის კვლევისთვის დაჯილდოვდა ჩოხატაურის მუნიციპალიტეტიც. 63 სოფლის ტურისტული რესურსის აღწერის საფუძველზე შეიქმნა მონაცემთა ბაზა, გადამზადდა რუსულ და ინგლისურ ენოვანი გიდები. პროექტის ფარგლებში შეიქმნა ვებ-გვერდი, მომზადდა ფოტო და ვიდეო ინფორმაცია, დაიბეჭდა ფლაერები, გზამკვლევი, ბროშურები და გამოიცა წიგნი სახელწოდებით ჩოხატაურის ტურისტული პოტენციალი“.

მეათე საუკეთესო პრაქტიკა ეკუთვნის ხარაგაულის მუნიციპალიტეტს, რომლის პროექტი მოიცავს პოლიეთილენის ნარჩენების რეციკლირებასა და გადამუშავებას. პროექტის მიზანია პოლიეთილენის არსებობისა და წვის პროდუქტების შემცირება ბუნებაში, საზოგადოების ცნობიერების ამაღლება ნარჩენების მართვის კუთხით და ახალი სამუშაო ადგილების შექმნა. განხორციელდა პოლიეთილენის ბოთლებისა და ცელოფნის სეპარაცია, დამუშავება, დაპრესვა და რეალიზება. გარდა ამისა, მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე დაიდგა 26 ცალი ალტერნატიული ბუნკერი და დამონტაჟდა მრავალფუნქციური ჰიდრავლიკური პრესი. მნიშვნელოვანია, რომ პროექტის განხორციელებაში ჩაერთო სამთავრობო უწყებები, არასამთავრობო ორანიზაციები, კერძო სექტორი, საჯარო სკოლები.

ეს არის ის საუკეთესო პრაქტიკების ათეული, რომელიც წელს დავაჯილდოვეთ და დარწმუნებული ვარ, რომ მომავალ წელს კიდევ უფრო მრავალფეროვან და ორიგინალურ პროექტს გამოვავლენთ.

მედიატური აჭარის რეგიონში

საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროს ორგანიზებით, ევროკავშირის პროგრამა ENPARD-ის (ევროპის სამეზობლო პროგრამა სოფლისა და სოფლის მეურნეობის განვითარებისთვის) ფარგლებში გაეროს განვითარების პროგრამის (UNDP) მხარდაჭერით, აჭარის რეგიონში მედიატური გაიმართა. ცენტრალური და რეგიონული მედიის წარმომადგენლები აჭარის რეგიონში ციტრუსის სეზონის მიმდინარეობის პროცესს გაეცნენ.

ორდღიანი მედიატურის ფარგლებში ჟურნალისტებს საშუალება მიეცათ ადგილზე გაცნობოდნენ ციტრუსის მოვლა-შენახვის მეთოდებს, მანდარინის გადამუშავებისა და რეალიზაციის პროცესებს. მედიის წარმომადგენლებს მასპინძლობას საქართველოს სოფლის მეურნეობის მინისტრი ოთარ დანელია, მინისტრის პირველი მოადგილე ნოდარ კერესელიძე და აჭარის ა/რ სოფლის მეურნეობის მინისტრი ზაურ ფუტკარაძე უწევდნენ.

ჟურნალისტებმა ქობულეთში, აჭარის სოფლის მეურნეობის სამინისტროს ა(ა)იპ აგროსერვის ცენტრში მარწყვისა და ტკბილი წიწაკის მაღალტექნოლოგიური სასათბურე მეურნეობები და ვაზისა და ხეხილის სანერგე მეურნეობა დაათვალიერეს. მედიის წარმომადგენლები ჩაქვში, აგროსერვის ცენტრის ციტრუსოვანთა საცდელ-სადემონსტრაციო სანერგე მეურნეობაშიც იმყოფებოდნენ, სადაც 15 ჰა ფართობზე ციტრუსოვანთა ათობით სხვადასხვა ჯიშია გაშებენული.

სოფლის მეურნეობის მინისტრის პირველი მოადგილის, ნოდარ კერესელიძის განცხადებით, სოფლის მეურნეობის მდგრადი განვითარებისთვის, გამართული ექსტენციის სისტემა ერთ-ერთი მნიშვნელოვანი წინაპირობაა.

მედიატურის ფარგლებში აჭარის ა/რ სოფლის მეურნეობის მინისტრმა ზაურ ფუტკარაძემ მედიის წარმომადგენლებს რეგიონში სოფლის მეურნეობის მიმართულებით მიმდინარე და განხორციელებული პროექტების შესახებ მიაწოდა ინფორმაცია.

გაეროს განვითარების პროგრამის ფარგლებში „ENPARD აჭარას“ პროექტის მენეჯერმა, ლაშა კომახიძემ ჟურნალისტებს გააცნო მომსახურების ის მიმართულებები, რომელიც სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების დაფუძნებას და პროდუქციის წარმოება-გასაღების ჯაჭვის ჩამოყალიბებას უწყობს ხელს. ევროკავშირისა და გაეროს განვითარების პროგრამის (UNDP) მხარდაჭერით აჭარაში ფერმერთა კოოპერატივების ხელშეწყობა ხორციელდება. სამწლიანი პროექტის - ENPARD აჭარა - მიზნებია სოფლის მეურნეობის ეფექტიანობის გაზრდა, მცირე ფერმერთა გაძლიერება და აჭარის სოფლის მეურნეობის სამინისტროს ინსტიტუციური განვითარება.

მედიატურის ფარგლებში საქართველოს სოფლის მეურნეობის მინისტრმა, ოთარ დანელიამ მედიის წარმომადგენლებთან ერთად ქ. ქობულეთში ციტრუსის დამხარისხებელ-შემფუთავი და ტარის მწარმოებელი საწარმო შპს.TCF GEORGIA და არასტანდარტული ციტრუსის საკონსერვო ქარხნა „Giam group“ დათვალიერა.

სადემონსტრაციო მეურნეობების, ექსტენციის ცენტრისა და ციტრუსის გადამამუშავებელი საწარმოების დათვალიერების შემდეგ, ჟურნალისტები ბათუმის პორტში, ბორანზე ციტრუსის ჩატვირთვის პროცესს გაეცნენ. ციტრუსის საბორნე გადაზიდვები უკრაინის მიმართულებით კვირის განმავლობაში 3-ჯერ ხორციელდება.

მედიატურის ბოლოს საქართველოს სოფლის მეურნეობის მინისტრმა, ოთარ დანელიამ, აჭარის ა/რ სოფლის მეურნეობის მინისტრმა, ზაურ ფუტკარაძემ და ციტრუსის საკოორდინაციო შტაბის ხელმძღვანელმა, დავით უმეკაშვილმა პრესკონფერენცია გამართეს და ჟურნალისტებს ციტრუსის სეზონის მიმდინარეობის ანგარიში გააცნეს.

ოთარ დანელიამ მადლობა გადაუხადა გაეროს განვითარების პროგრამას (UNDP) მედიატურის მხარდაჭერისთვის და აღნიშნა, რომ მათი დახმარების გარეშე აჭარის რეგიონში ვერ მოხერხდებოდა ვერც მედიატურის მოწყობა და ვერც არაერთი წარმატებული პროექტის განხორციელება. მინისტრის განმარტებით, 2015 წლის ,,ნარინჯისფერი რთველი“ შეუფერხებლად მიმდინარეობს და იმედია, რომ წარმატებით დასრულდება. ოთარ დანელიამ დადებითად შეაფასა საკოორდინაციო შტაბის მუშაობაც და მადლობა გადაუხადა შტაბის წევრებს.

პრესკონფერენციის დასასრულს, საქართველოს სოფლის მეურნეობის მინისტრმა, ოთარ დანელიამ მედიის წარმომადგენლებს მადლობა გადაუხადა მედიატურში მონაწილეობისთვის და აღნიშნა, რომ ჟურნალისტებისთვის სოფლის მეურნეობის დარგში მიმდინარე პროცესების და განხორციელებული პროექტების შედეგების ამ ფორმატში გაცნობა მომავალ წელსაც გაგრძელდება.

სოლიდარობის ფონდი

საქართველოს სოლიდარობის ფონდი შეიქმნა საქართველოს პრემიერ-მინისტრის ინიციატივითა და საქართველოს მთავრობის დადგენილებით 2014 წლის ივნისში.

ფონდის მიზანია არასაბიუჯეტო რესურსით მძიმე სენით დაავადებული ან შეზღუდული შესაძლებლობების მქონე ბავშვებისა და მათი ოჯახების დახმარება.

2014 წლის ივლისიდან საქართველოს სოლიდრაობის ფონდში საერთო ჯამში 4.7 მლნ ლარზე მეტი იქნა მობილიზებული. უკვე მობილიზებული და ასევე პროგნოზული დონაციების გათვალისწინებით, დღეისათვის ფონდმა 22 წლამდე ასაკის სიმსივნით დაავადებული 182 ბავშვისა და ახალგაზრდის დიაგნოსტიკისა და მკურნალობის დაფინანსება დაამტკიცა როგორც საქართველოში, ასევე 94 შემთხვევაში საზღვარგარეთ.

თამამად შეიძლება ითქვას, რომ ბავშვთა და 22 წლამდე ასაკის ონკოლოგიური პაციენტების ფინანსური პრობლემის მოგვარება უკვე გადაჭრილია, რაც საქართველოს სოლიდარობის ფონდთან 50 000-ზე მეტი საჯარო მოხელის, 23 კერძო კომპანიის და 53 სტუდენტური ორგანიზაციის თანადგომით განხორციელდა.

სამომავლოდ დაგეგმილია 22 წელზე უფროსი ასაკის ონკოლოგიური დაავადებების მქონე პაციენტთა მხარდაჭერა ძვირადღირებული მედიკამენტების ხელმისაწვდომობის გაზრდით. ხოლო 2016 წლის ბოლოდან ინდივიდუალური სპონსორობის ე.წ. „პატრონაჟის“ პროგრამების პლატფორმის შექმნა გვაქვს დაგეგმილი სოციალურად განსაკუთრებით დაუცველი ოჯახების დასახმარებლად.

თუმცა მნიშვნელოვანია აღვნიშნოთ, რომ სოლიდარობის ფონდის პროგრამების ამოქმედება და შემდგომი გაფართოება მხოლოდ და მხოლოდ საზოგადოების,

როგორც საჯარო, ასევე კერძო სექტორის უფრო აქტიურ ჩართულობაზეა დამოკიდებული.

შემოგვიერთით,

შევქმნათ სიცოცხლის ახალი ისტორიები ერთად.

სიკეთე გადამდებია!

პროექტების მართვის სააგენტო არაერთ მნიშვნელოვან პროექტს წარმატებით ახორციელებს

სოფლის მეურნეობის სამინისტროს პროექტების მართვის სააგენტო სოფლის მეურნეობის განვითარების ხელშემწყობ არაერთ უმნიშვნელოვანეს სახელმწიფო პროექტს ახორციელებს. ამ ეტაპზე წარმატებით მიმდინარეობს 5 ძირითადი და 2 სეზონური პროექტი, რომელთა მნიშვნელობისა და მიღწეული შედეგების შესახებ პროექტების მართვის სააგენტოს დირექტორი, მარიანა მორგოშია საუბრობს.

დავიწყოთ აგროდაზღვევის პროგრამით

აგრარულ სექტორში წარმოების თანამედროვე სტანდარტებზე გადასვლა დარგში აგროდაზღვევის კომპონენტის დანერგვას გულისხმობს.

აგროდაზღვევის პროექტის მიზანი აგროსექტორში სადაზღვევო ბაზრის განვითარება, სასოფლო-სამეურნეო საქმიანობის ხელშეწყობა, სასოფლო-სამეურნეო საქმიანობით დაკავებული პირებისთვის შემოსავლის შენარჩუნება და რისკების შემცირებაა.

აგროდაზღვევის პროგრამა **ფერმერებს საშუალებას აძლევს, ხელმისაწვდომ ფასად დააზღვიონ მოსავალი. სტიქიური მოვლენები აგრობიზნესში ერთ-ერთი ყველაზე დიდი რისკია. ხშირია შემთხვევები, როდესაც სტიქიის გამო მოსავალი სრულიად ნადგურდება და ფერმერი შემოსავლის გარეშე რჩება. აგროდაზღვევა ერთადერთი მექანიზმია, რისი საშუალებითაც ფერმერებს, მოსავლის განადგურების შემთხვევაში, საშუალება ეძლევათ ანაზღაურება მიიღონ.**

აღნიშნული პროგრამის ამოქმედებამდე, ქვეყანაში აგროდაზღვევის პროდუქტის წილი სადაზღვევო ბაზარზე 1%-საც არ შეადგენდა. დღეის მდგომარეობით კი, აგროდაზღვევის პროგრამის ფარგლებში გაცემულია 27 ათასზე მეტი პოლისი, დაზღვეულია 190 მილიონ ლარზე მეტი ღირებულების 38 სხვადასხვა სახეობის მოსავალი 24 ათას ჰექტარ მიწის ფართობზე. 2014-2015 წლებში 9934 სადაზღვევო შემთხვევა დაფიქსირდა და ასანაზღაურებელმა თანხამ დაახლოებით 14 მილიონი ლარი შეადგინა.

მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ პროექტების მართვის სააგენტომ, სოფლის მეურნეობის სამინისტროსთან ერთად, **აქტიურად ვაწარმოეთ საინფორმაციო კამპანია საქართველოს რეგიონებში, რათა მაქსიმალურად დეტალურად და გასაგებად აგვეხსნა რეგიონში მცხოვრები მოსახლეობისთვის, პროგრამით გათვალისწინებული სარგებელი. შესაბამისად, ფერმერების საკმაოდ დიდი რაოდენობა ჩაერთო პროექტში, რამაც საშუალება მოგვცა, შეგვეფასებინა პროდუქტი და პროექტით გათვალისწინებული პირობების გაუმჯობესებასა და დახვეწაზე დაგვეწყო მუშაობა. შესწორებების შეტანის შემდეგ,** პროგრამა უფრო მეტად იქნება ორიენტირებული მომხმარებლის საჭიროებებსა და მოთხოვნებზე.

მიმდინარე წარმატებულ პროექტებს შორის გამორჩეული ადგილი უჭირავს პროგრამას „დანერგე მომავალი“. აღნიშნულ პროგრამას, სოფლის მეურნეობის პროექტების მართვის სააგენტო, სოფლის მეურნეობის სამინისტროს ინიციატივით, მიმდინარე წლის მარტის ბოლოდან ახორციელებს. პროექტის მიზანია საქართველოს ყველა მუნიციპალიტეტში სასოფლო-სამეურნეო მიწების მიზნობრივი გამოყენების ზრდის მაქსიმალური ხელშეწყობა, მრავალწლოვანი ბაღების გაშენება და სანერგე მეურნეობების მოწყობა.

პროგრამის „დანერგე მომავალი“ ფარგლებში სააგენტო მრავალწლიანი ბაღის გაშენების შემთხვევაში – ნერგების ღირებულების 70%-ის და წვეთოვანი სარწყავი სისტემის ღირებულების 50%-ის ხოლო სანერგე მეურნეობის მოწყობის შემთხვევაში – მეურნეობის შექმნის ღირებულების 50%-ის თანადაფინანსებას ახორციელებს.

პირდაპირი თანადაფინანსების გარდა, ფერმერები, რომლებიც ამ პროგრამაში ჩაერთვებიან, დამატებით სარგებელსაც მიიღებენ: სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივებს საჩუქრად გადაეცემათ შესაწამლი აპარატები; ყველა ბენეფიციარს აუნაზღაურდება ნიადაგის ლაბორატორიული შემოწმების ღირებულება; კვალიფიკაციის ამაღლების მიზნით, ყველა ბენეფიციარს გაეწევა ტექნიკური დახმარება, ბაღის/სანერგე მეურნეობის მოვლის პრაქტიკული ტრეინინგისა და თეორიული კურსის სახით.

პროექტის განხორციელებისთვის 2016 წელს 5 მილიონ ლარამდე დაიხარჯება. პროექტის ფარგლებში სულ 85-მდე ბენეფიციარს დაუმტკიცდა განაცხადი, სადაც სააგენტოს ჯამური თანადაფინანსება 3,255,995 ლარს შეადგენს. აღნიშნული პროექტის განხორციელების შედეგად, უკვე გაშენდა 605 ჰექტარი თანამედროვე ინტენსიური და ნახევრად ინტენსიური ტიპის ბაღები.

ხაზგასმით მინდა აღვნიშნო, რომ მიმდინარე პროექტების წარმატებაზე მეტყველებს ის ფაქტიც, რომ ციფრები მუდმივად მზარდია.

ვფიქრობ, ცალკე უნდა გამოვყოთ სოფლის მეურნეობაში ბიზნესზე ორიენტირებული წარმოების ფინანსური ხელშეწყობის პროექტები. სააგენტო ამ მიმართულებით შეღავათიანი აგროკრედიტისა და გრანტის პროგრამებს ახორციელებს, რომლის ფარგელბშიც დაფინანსებულია 139 ახალი, ხოლო გადაირაღებულია 665 სასოფლო-სამეურნეო საწარმო.

აგროსექტორით საბანკო სისტემის დაინტერესება და მათი პროექტში ჩართვა ერთ-ერთი უმნიშვნელოვანეს მიღწევაა, რამაც სოფლის მეურნეობის დარგის განვითარებისთვის გადამწყვეტი როლი უნდა შეასრულოს.

შეღავათიანი აგროკრედიტის პროექტის ფარგლებში, 2013-2015 წლებში გაცემულია 644,893,796 ლარი და 165,682,815 აშშ დოლარი. ჯამში გაცემული სესხების რაოდენობა 25,290 კრედიტს შეადგენს. მათ შორის, 2015 წელს გაცემულია 143,737,982 ლარი და 37,101,511 დოლარი. 2015 წელს 3,482 შეღავათიანი აგროკრედიტია გაცემული.

შეღავათიანი აგროკრედიტის პროექტის მიმდინარე პორტფელი შეადგენს 237,049,266 ლარს და 105,831,142 დოლარს. მიმდინარე სესხების რაოდენობაა 10,359. შეღავათიანი აგროკრედიტის პროექტის ფარგლებში დაფინანსებულია 128 ახალი საწარმო. მათ შორის აწარმოე საქართველოში“ ფარგლებში დაფინანსებულია 5 ახალი საწარმო.

სოფლის მეურნეობის პროდუქციის გადამამუშავებელი და შემნახველი საწარმოთა თანადაფინანსების პროექტი ფარგლებში 2014-2015 წლებში ბენეფიციარების მიერ წარმოდგენილი პროექტებიდან დამტკიცებულია 28 პროექტი, ჯამური ღირებულებით 18,854,821 აშშ დოლარი, საიდანაც სახელმწიფო თანადაფინანსება შეადგენს 7,006,810 აშშ დოლარს. გადამამუშავებელ საწარმოთა თანადაფინანსების პროექტის ფარგლებში უკვე დაფინანსებულია 11 ახალი საწარმო.

2015 წელს გადამამუშავებელი და შემნახველი საწარმოთა თანადაფინანსების პროექტში შევიდა ცვლილება და დაემატა ახალი კომპონენტი, შემნახველი და სამაცივრე მეურნეობების თანადაფინანსება, რომელიც ითვალისწინებს პირველადი სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის სტანდარტიზაციის ხელშეწყობას და მრავალწლიანი და ერთწლიანი კულტურებით თვითუზრუნველყოფის დონის ამაღლებას, რაც ფერმერებისათვის მოსავლის დასაწყობებისთვის დამატებითი ინფრასტრუქტურის შექმნას.

ცვლილება შევიდა გადამამუშავებელი და შემნახველი საწარმოების თანადაფინანსების პროექტშიც და დაემატა სპეციალური პირობა, რომელიც დამატებით სტიმულს მისცემს თიანეთის, ყაზბეგის, მესტიის, ლენტეხის, ცაგერის, ონის, ხარაგაულის, ჭიათურის, საჩხერის, ტყიბულის, შუახევის და მარტვილის მუნიციპალიტეტებს. აღნიშნული რაიონები შეირჩა მათი ეკონომიკურად დაბალი აქტივობის გამო.

2015 წელს სოფლის მეურნეობაში ჩართულ მეწარმეებს კვლავაც შეეძლოთ მიეღოთ იაფი, გრძელვადიანი და ხელმისაწვდომი ფულადი სახსრები, პირველადი წარმოების, გადამამუშავებელი და შენახვა-რეალიზაციის საწარმოო პროცესების მნიშვნელოვნად გაუმჯობესების მიზნით.

2015 წელს დაფინანსდა ათეულობით ახალი საწარმო შემდეგი მიმართულებით: სასათბურე მეურნეობა, მეფრინველეობა, თხილის გადამამუშავება, რძის პროდუქტების გადამუშავება, ღვინის წარმოება, სასაწყობო მეურნეობა, ეთერზეთების წარმოება და ა.შ. რეგიონების თვალსაზრისით ახალი საწარმოები გაიხსნა საქართველოს თითქმის ყველა რეგიონში.

აუცილებლად უნდა აღვნიშნო მცირემიწიან ფერმერთა საგაზაფხულო სამუშაოების ხელშეწყობის პროექტი, რომელიც უკვე მე-3 წელია წარმატებით ხორციელდება. მთავრობის მიერ მიღებული გადაწყვეტილებით, ფერმერთა ყველაზე დაბალშემოსავლიანი ნაწილის მხარდასაჭერად ,პროექტი 2016 წელსაც გაგრძელდება.

მცირემიწიან ფერმერთა 2015 წლის საგაზაფხულო სამუშაოების ხელშეწყობის პროექტის ფარგლებში სარგებელი გამოყოფილი იყო 767,019 ბენეფიციარისთვის. პროექტის ფარგლებში ბენეფიციარებმა მიიღეს 46,209,545 ლარის ღირებულების სარგებელი ნიადაგის ხვნისა და სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის სახით. პროექტის ფარგლებში 2015 წელს ჯამში დამუშავდა 215,858 ჰექტარი მიწის ფართობი.

პროექტის ფარგლებში, 3 წლის განმავლობაში ყოველწიურად მუშავდებოდა 210 ათას ჰექტარზე მეტი მიწის ნაკვეთი. პროექტში ჩართული იყო 500-ზე მეტი მაღაზია 900-მდე გაყიდვის წერტილით და 1500-ზე მეტი სატრაქტორო საშუალებით მობილიზებული 100-ზე მეტი სატრაქტორო კომპანია.

სოფლის მეურნეობის პროექტების მართვის სააგენტო, ძირითად პროექტებთან ერთად, სეზონურ პროგრამებსაც ახორციელებს, ესენია: არასტანდარტული მანდარინის რეალიზაციის ხელშეწყობის პროგრამა, რომელიც გასულ წელს დავიწყეთ და წელსაც ხორციელდება და არასტანდარტული ვაშლის რეალიზაციის ხელშეწყობის პროგრამა, რომელიც 2014 წელს განვახორციელეთ. სეზონური პროექტები ბაზრის მოთხოვნიდან გამომდინარე იგეგმება და ხორციელდება.

2015 წელს, სოფლის მეურნეობის სამინისტროს ინიციატივით, სოფლის მეურნეობის პროექტების მართვის სააგენტომ ჩაის პლანტაციების რეაბილიტაციის პროგრამა შეიმუშავა. ჩაის პლანტაციების რეაბილიტაციის სახელმწიფო პროგრამა „ქართული ჩაი“ მომავალი წლიდან დაიწყება.

აღნიშნული პროგრამის განხორციელების უმთავრეს მიზანს საქართველოში არსებული ჩაის პლანტაციების პოტენციალის მაქსიმალური გამოყენება და ჩაის წარმოების ხელშეწყობა, მაღალი ხარისხის ჩაის, მათ შორის ბიო ჩაის, წარმოების ხელშეწყობა წარმოადგენს. პროგრამის ფარგლებში როგორც კერძო საკუთრებაში, ასევე სახელმწიფო საკუთრებაში არსებული გაველურებული ჩაის პლანტაციების რეაბილიტაცია განხორციელდება და ჩაის პირველადი გადამამუშავებელი თანამედროვე საწარმოები შეიქმნება.

ყველა ის პროექტი, რომელსაც სოფლის მეურნეობის პროექტების მართვის სააგენტო სოფლის მეურნეობის სამინისტროს ინიციატივით ახორციელებს, გათვლილია აგრარული დარგის მდგრად განვითარებაზე. სააგენტოს მიერ 2013 წლიდან ხორციელდება მასშტაბური პროექტები, რომლის საშუალებითაც, ფერმერებმა, მეწარმეებმა და გლეხებმა მიიღეს დახმარება, როგორც ფინანსური და ტექნიკური, ასევე თანამედროვე განათლების მიმართულებებით. ყველა ზემოაღნიშნული საქმიანობისა და ციფრების უკან დგას რეალური საწარმოები, დასაქმებული ადამიანები და საქართველოში წარმოებული სასოფლო-სამეურნეო პროდუქცია.

სამელიორაციო სისტემების რეაბილიტაცია სტიმულს მისცემს და ხელს შეუწყობს სასოფლო-სამეურნეო პროცესების გააქტიურებას

საქართველოს კლიმატური პირობებიდან და რელიეფიდან გამომდინარე, ქვეყანაში სოფლის მეურნეობის განვითარებისთვის აუცილებელია გამართული სამელიორაციო სისტემების არსებობა. მელიორაცია, სარწყავი და დამშრობი სისტემების მშენებლობა, ექსპლუატაცია და მართვა წარმოადგენს მნიშვნელოვან სფეროს, რომელმაც უნდა უზრუნველყოს ქვეყანაში ინტენსიური და ეფექტიანი სასოფლო-სამეურნეო წარმოებისთვის საჭირო პირობების შექმნა. აღმოსავლეთ საქართველოს შედარებით მშრალი კლიმატი მოითხოვს ირიგაციის ფართო გამოყენებას, ხოლო დასავლეთ საქართველოს მთელ რიგ რეგიონებში საჭიროა ჭარბი წყლის მოცილება სადრენაჟო სისტემების მეშვეობით.

ბოლო 25–30 წლის მანძილზე, საქართველოში არსებული ვითარების გამო, ქვეყნის მასშტაბით სამელიორაციო სისტემები მთლიანად მოიშალა, მწყობრიდან გამოვიდა და ხშირ შემთხვევაში, სრულად განადგურდა. სახელმწიფოსთვის სოფლის მეურნეობა პრიორიტეტს არ წარმოადგენდა და, შესაბამისად, სამელიორაციო ინფრასტრუქტურის მოწესრიგებაც არ ხდებოდა.

2013 წლიდან ქვეყანაში მდგომარეობა საგრძნობლად შეიცვალა. მთავრობამ სოფლის მეურნეობის დარგი პრიორიტეტად გამოაცხადა და მისი სწრაფი და ეფექტიანი განვითარებისთვის სისტემური ცვლილებების განხორციელება დაიწყო.

სოფლის მეურნეობის სამინისტრომ, დარგის განვითარების სტრატეგიის ერთ–ერთ მთავარ მიმართულებად სამელიორაციო სისტემების აღდგენა–რეაბილიტაცია გამოაცხადა. სახელმწიფოს მხარდაჭერით, ასევე დონორ ორგანიზაციებთან თანამშრომლობით, სოფლის მეურნეობის სამინისტრომ მნიშვნელოვანი პროექტების განხორციელება დაიწყო.

რა მდგომარეობაა დღეს ამ დარგში, რა გამოწვევების წინაშე დგას სოფლის მეურნეობის სამინისტრო, რა შედეგებია მიღწეული და როგორი იქნება სამომავლო გეგმები, ამის შესახებ სოფლის მეურნეობის სამინისტროს შპს „საქართველოს მელიორაციის“ გენერალური დირექტორი, ლევან დვალი საუბრობს.

– რამდენად მნიშვნელოვანია სამელიორაციო მომსახურება აგრარული სექტორისათვის?

ძალიან მნიშვნელოვანია. საქართველო არის ქვეყანა, სადაც ბუნებრივ-კლიმატური პირობებიდან გამომდინარე ჰიდრომელიორაციის ორივე მიმართულების საჭიროებაა. წყლის რესურსი ქვეყანაში არათანაბრადაა გადანაწილებული - დასავლეთიდან აღმოსავლეთისკენ კლებულობს. შესაბამისად, აღმოსავლეთ და სამხრეთ ნაწილში ირიგაციის საჭიროება დგას, დასავლეთში კი დრენაჟის.

– როგორი იყო სამელიორაციო სისტემების მდგომარეობა რამდენიმე წლის წინ და რა მდგომარეობაა დღეისათვის?

ათწლეულების განმავლობაში სამელიორაციო ინფრასტრუქტურის სარეაბილიტაციო და საექსპლუატაციო სამუშაოები არ ჩატარებულა. მოსახლეობასთან შეხვედრებისას ხშირად ვისმენთ თუ როგორ იძარცვებოდა ნაწილ-ნაწილ სატუმბი სადგურები, როგორ თხრიდნენ და მიჰქონდათ მილები, ხდებოდა ელექტრო გაყვანილობის დემონტაჟი. 2012 წლისათვის წყალუზრუნველყოფილი ფართობი საქართველოში 45 000 ჰექტარს შეადგენდა.

2013 წლიდან დაიწყო სამელიორაციო ინფრასტრუქტურის ფორსირებული დაფინანსება და მასშტაბური სარეაბილიტაციო სამუშაოები. 2012-2015 წლებში სამელიორაციო ინფრასტრუქტურის 107 სარეაბილიტაციო პროექტი განვახორციელეთ. დღეისათვის უკვე 97 000 ჰექტარზე მეტია წყალუზრუნველყოფილი სასოფლო-სამეურნეო მიწა საქართველოში და 28 000 ჰექტარზე ხდება ჭარბი წყლის მოცილება.

– რითი გამოირჩეოდა 2015 წლის სეზონი?

წელს წარმატებით შევასრულეთ სარეაბილიტაციო პროგრამის ფარგლებში დაგეგმილი სამუშაოები. განვახორციელეთ სამელიორაციო ინფრასტრუქტურის 32 სარეაბილიტაციო პროექტი ჯამური ღირებულებით 36 500 000 ლარი. გარდა რეაბილიტაციისა, მასშტაბურ სამუშაოებს ინფრასტრუქტურის ტექნიკური ექსპლუატაციის ფარგლებშიც ვატარებთ. მოხდა კომპანიის ტექნიკური მმართველობის დეცენტრალიზაცია. მდინარეთა აუზების მიხედვით შეიქმნა 4 რეგიონალური დირექტორატი. კომპანია უფრო მოქნილი გახდა ადგილზე პრობლემების იდენტიფიცირების, გადაწყვეტილების მიღების და რეაგირების ნაწილში. წყალუზრუნველყოფილი სასოფლო-სამეურნეო მიწის ფართობი 9 400 ჰექტრით გაიზარდა. მნიშვნელოვანია ხელშეკრულებების საფუძველზე მორწყული სასოფლო-სამურნეო მიწის ფართობი - შარშანდელთან შედარებით საქართველოს მასშტაბით 5 300 ჰექტრით მეტი, ჯამში 43 769 ჰა მიწის ფართობზე მივაწოდეთ სარწყავი წყალი. ჩვენი კომპანია წყალს აწვდის ტბორებსაც, რომლებშიც მოსახლეობა თევზს აშენებს. შემიძლია გითხრათ, რომ ჩვენი მონაცემებით ეს მზარდი ბიზნესია, ვინაიდან წელს 1 500-მდე ჰექტარ ტბორს მივაწოდეთ წყალი, რაც შარშანდელთან შედარებით 46%-ით მეტია.

ირიგაციის ნაწილში წელს მნიშვნელოვანი სიახლე იყო მობილური მელიორაციის სამსახურის ჩამოყალიბება. მობილური მელიორაცია - გადასატანი სატუმბი აგრეგატების მეშვეობით სავარგულების მორწყვა - საშუალებას გვაძლევს წყალი მივაწოდოთ ისეთ სასოფლო-სამეურნეო მიწებს, სადაც ჯერჯერობით სატუმბი სადგურების განუვითარებლობის გამო წყლის მიწოდება ფერხდება. მობილური მელიორაციის სამსახურმა კომპანიის 170 აბონენტს მიაწოდა წყალი 200 ჰექტარი სავარგულების მოსარწყავად. გამოცდილებიდან გამომდინარე შეგვიძლია ვთქვათ, რომ გაისად, იგივე მეთოდით დაახლოებით 2 000-მდე ჰექტარი მიწა მოირწყვება.

აქტიურად ვთანამშრომლობთ დონორ ორგანიზაციებთან. დასრულდა 4 და მიმდინარეობს 2 სარეაბილიტაციო პროექტი IFAD-თან თანამშრომლობის ფარგლებში. იგეგმება ნიდერლანდების მთავრობის გრანტის პროგრამის ფარგლებში პროექტების დაწყება. დაგეგმილია, ასევე, მსოფლიო ბანკის დაფინანსებით სარეაბილიტაციო პროექტების განხორციელება.

– არსებობს წყალუზრუნველყოფილი მიწის ფართობები, რომელზეც სამელიორაციო სისტემები უკვე რეაბილიტირებულია, მაგრამ თქვენი მონაცემებით ჯერ არ ირწყვება, როგორ შეაფასებთ ამ მოვლენას?

მელიორირებული მიწების სრულად ათვისება არც სხვა ქვეყნებში ხდება. დაიწყო ისეთი ობიექტების რეაბილიტაცია, რომლებზეც სამუშაოები ათწლეულების განმავლობაში არ ჩატარებულა და ათწლეულების განმავლობაში არ მუშაობდა სამელიორაციო სისტემები. ხაზგასმით მინდა აღვნიშნო, რომ უნდა ჩატარდეს სამელიორაციო სისტემების რეაბილიტაცია ყველგან, სადაც ამის საჭიროებაა. ეს, სტიმულს მისცემს და ხელს შეუწყობს აქტიური სასოფლო-სამეურნეო პროცესის აღდგენას.

– გარდა სარეაბილიტაციო სამუშაოებისა რა მიმართულებებით მუშაობთ კომპანიის და დარგის განვითარების მიზნით?

იმისათვის, რომ დასახულ მიზანს მივაღწიოთ და სამუშაოების ეკონომიკური ეფექტიანობა უფრო გაიზარდოს, ვმუშაობთ ინსტიტუციური განვითარების, კადრების კვალიფიკაციის ამაღლების, ტექნიკური პარკისა და პროგრამული უზრუნველყოფის სრულყოფის მიმართულებებით.

მიუხედავად იმისა, რომ საქართველო წყლის რესურსით მდიდარი ქვეყანა, სარწყავი წყალი თავისით არსად მივა. საირიგაციო მომსახურების ორგანიზება დიდ ძალისხმევას და ფინანსურ რესურსებს საჭიროებს. ისეთ ქვეყნებშიც კი, სადაც სამელიორაციო სისტემები სრულად გამართულია, წყლის რესურსების ეკონომიურად მოხმარების საკითხი დგას. ამიტომ, უნდა ვეცადოთ, მაქსიმალურად ავითვისოთ ირიგაციის ისეთი თანამედროვე და დღეისთვის მსოფლიოში უკვე ადაპტირებული მეთოდები, რომელიც წყლის დაზოგვის საშუალებას იძლევა - წვეთური და დაწვიმებითი საირიგაციო სისტემები. ჩვენი კომპანია ცდილობს ხელი შეუწყოს წვეთური და დაწვიმებითი ირიგაციის მეთოდის გავრცელებას და სამუშაოებს ატარებს ამ მიმართულებით. წელს შევიმუშავეთ სამი საპილოტე პროექტი - კახეთის რეგიონში ბაკურციხის და ვაქირის სატუმბი სადგურების რეაბილიტაციის და ვაჩნაძიანში წყალსატევარის მოწყობის პროექტები. რეაბილიტაციის დასრულების შემდეგ მოსახლეობა წვეთური მორწყვის სისტემებს გამოიყენებს, რაც შეამცირებს ხარჯს და მნიშვნელოვნად გაზრდის მოსავლიანობას.

ჩვენთვის მნიშვნელოვანია აბონენტებთან მაქსიმალური ინტერაქცია. 2015 წელს ჩატარდა სამუშაოები აბონენტთა მომსახურების პროცესის დახვეწის, გამარტივების და ინტერაქტიურ რეჟიმში გადაყვანის მიზნით. 2015 წელს მოხდა ანგარიშსწორების ფორმების მნიშვნელოვანი სრულყოფა ჩვენ აბონენტებს მომსახურების საფასურის გადახდა ბანკების ფილიალების გარდა, ონლაინ გადახდის მეშვეობით, სწრაფი გადახდის აპარატებითაც SeeZlebaT.

მელიორირებული მიწების ფართობის და ჩვენი მომსახურების არეალის ზრდასთან ერთად, დასაქმების პერსპექტივის თვალსაზრისით, მელიორაციის დარგი ყოველწლიურად უფრო საინტერესო ხდება. ჩვენი და საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ინიციატივით კომპანიაში სტუდენტთა სტაჟირება ჩატარდა. სტუდენტები მთელი საქართველოს მასშტაბით კომპანიის სერვის ცენტრებში დაესწრნენ სარეაბილიტაციო და საექსპლუატაციო სამუშაოებს და, ასევე, გაეცნენ კომპანიის ორგანიზაციული მართვის პროცესებს. ჩვენი ინტერესი მოტივირებული ახალგაზრდა კადრების მოზიდვაა. ამიტომ, ყოველწლიურად ვაპირებთ სტაჟირება შევთავაზოთ მომავალ სპეციალისტებს.

ჩვენი ტექნიკის პარკი 2015 წელს 245 ერთეული თანამედროვე სპეციალური ტექნიკით და ელექტრომექანიკური დანადგარებით შეივსო, რომელიც მთელი ქვეყნის მასშტაბით კომპანიის სერვისცენტრებში გადანაწილდა. კომპანიის მძიმე ტექნიკამ და ოპერატორებმა აქტიური მონაწილეობა მიიღეს თბილისში, 13 ივნისის სტიქიის შედეგების სალიკვიდაციო სამუშაოებში და თუშეთთან დამაკავშირებელი ფშაველი-ომალოს გზის დაზიანებული მონაკვეთების აღდგენით სამუშაოებშიც.

– რა მიმართულებებით იმუშავებს კომპანია 2016 წელს?

დღეისათვის კომპანია საქართველოს მასშტაბით 25 სარეაბილიტაციო პროექტს ახორციელებს. ეს გარდამავალი პროექტებია, რომელთა ნაწილი 2016 წელს დასრულდება, ნაწილი კი 2017 წელს. 2016 წელს გაგრძელდება სამელიორაციო ინფრასტრუქტურის სარეაბილიტაციო სამუშაოები მთელი ქვეყნის მასშტაბით. საქართველოს რეგიონებში 60-მდე სარეაბილიტაციო პროექტი დაიწყება.

დღეისათვის, სულ უფრო აქტუალური ხდება წყალსაცავების მშენებლობის საკითხი. კომპანიაში მიმდინარეობს ილტოს წყალსაცავის მშენებლობის წინასაპროექტო მოსამზადებელი სამუშაოები და რამდენიმე სხვა წყალსაცავის მოწყობის საკითხიც.

მიუხედავად უკვე მიღწეული პოზიტიური შედეგებისა, სოფლის მეურნეობის სამინისტროს და შპს „საქართველოს მელიორაციას“ კვლავ ბევრი სამუშაო აქვს წინ. დღეისათვის სარწყავი წყალი არ არის ყველგან, სადაც ამის საჭიროებაა. მელიორაციის დარგის სრული რეაბილიტაცია დიდ ფინანსურ რესურს მოითხოვს და მისასალმებელია, რომ სახელმწიფო აქტიურად მუშაობს ამ მიმართულებით. მსოფლიო ბანკის პროექტის „საქართველოს ირიგაციისა და მიწის ბაზრის განვითარება“ ფარგლებში მიმდინარეობს საქართველოს ირიგაციის სტრატეგიის შემუშავება, რომელიც აუცილებელი წინაპირობაა მელიორაციის დარგის განვითარებისა და დასახული მიზნების მისაღწევად. სამელიორაციო მომსახურება უნდა მიიღოს ყველამ, ვისაც ამის საჭიროება აქვს. ამიტომაც ჩვენი მიზანია მომდევნო წლების განმავლობაში საქართველოში წყალუზრუნველყოფილი სასოფლო-სამეურნეო მიწის ფართობმა 278 000 ჰექტარს მიაღწიოს, დაშრობა კი 105 000 ჰექტარზე მოხდეს.

მოცვის წარმოების საინვესტიციო შესაძლებლობები

მოცვი ბუჩქოვანი კენკროვანი კულტურაა, რომელზეც, მაღალი სასურსათო ღირებულების გამო მოთხოვნა მზარდია. მოცვის ნაყოფი მკვრივია და, შესაბამისად, ტრანსპროტირებას, სხვა ნებისმიერ კენკროვან კულტურასთან შედარებით, კარგად უძლებს; შესაბამის პირობებში კარგად ინახება საშუალოდ სამი კვირის განმავლობაში.

ლურჯი მოცვის გასაშენებლად საჭიროა ტენიანი, მსუბუქი და კარგი დრენაჟის მქონე ნიადაგი. მოცვი განსაკუთრებით კარგად ხარობს მჟავე ნიადაგებზე. მას, ძირითადად, დასავლეთ საქართველოში აწარმოებენ. მოცვის მოსავლის აღების პერიოდი ივნისში იწყება და აგვისტოს ბოლომდე გრძელდება.

საქართველოში მოცვის ინტენსიური ბაღები ნაკლებადაა წარმოდგენილი, ეს მიმართულება განვითარების პროცესშია. ბაზარზე არასტაბილური და დაბალი მიწოდება განპირობებულია იმ ფაქტით, რომ მოცვის მიმწოდებლები, ძირითადად, ველური მოცვის შეგროვებით არიან დაკავებულნი. ველური მოცვი შესაძლებელია ჩაითვალოს ბიოპროდუქტად, ვინაიდან იგი საქართველოს ტყეებში მოიპოვება.

საინვესტიციო შესაძლებლობები

- ახალი ჯიშების ნერგების წარმოება
- წარმოების საშუალებების მიწოდება (მცენარეთა დაცვის საშუალებები, სასუქები, სარწყავი სისტემები და სხვა)
- ტექნოლოგიებისა და მოწყობილობების მიწოდება კლიმატკონტროლირებადი სასაწყობო მეურნეობებისთვის
- სასოფლო-სამეურნეო მანქანა-დანადგარებისა და ხელსაწყოების მიწოდება
- გადამამუშავებელი მოწყობილობებისა და ტექნოლოგიების მიწოდება
- სატვირთო გადაზიდვების მომსახურების მიწოდება, რომელიც აღჭურვილია კლიმატკონტროლირებადი სისტემებით
- მოცვის ინტენსიური ბაღების გაშენება
- პროდუქციის შენახვისთვის მომსახურების მიწოდება, რომელიც აღჭურვილია კლიმატკონტროლირებადი სისტემებით
- დამატებითი ღირებულების შესაქმნელად მომსახურების მიწოდება
- პირველადი და გადამუშავებული პროდუქციისთვის შესაფუთი მასალების წარმოება (ყუთები, ქილები და სხვა)

ბაზრები

დარგვის და მოსავლის აღების პერიოდები



ექსპორტი თვეების მიხედვით (ტონა)



წყარო: საქსტატი

ექსპორტი წლების მიხედვით (1000 აშშ დოლარი)



წყარო: საქსტატი

ძირითადი საექსპორტო ბაზრები



წყარო: საქსტატი

ფინანსური მაჩვენებლები*	
ფართობი (ბაღი)	1 ჰა
საწყისი საინვესტიციო კაპიტალი	30 460 ლარი
უკუბის პერიოდი	მე-5 წელი
IRR (7 წელი)	32 %

კივი (Actinidia) სუბტროპიკული ხეხილოვანი მცენარეა.

კივის სამშობლოდ იაპონია, ჩინეთი და უსურიის მხარე ითვლება. იგი გავრცელებულია მსოფლიოს როგორც ჩრდილოეთ, ისე სამხრეთ ნახევარსფეროში. კივის თანამედროვე პლანტაციები გაშენებულია 20-მდე ქვეყანაში. ერთ ჰექტარზე საშუალო მოსავლიანობის მიხედვით ახალი ზელანდია (25-27 ტ/ჰა) და იტალია (18 ტ/ჰა) ლიდერობენ.

საქართველოში კივის მოშენება საკმაოდ გვიან, გასული საუკუნის 80-90-იანი წლებიდან დაიწყო. კივი ერთნაირად კარგად ხარობს როგორც დასავლეთ საქართველოში - აფხაზეთში, აჭარაში, სამეგრელოსა და გურიაში, ისე აღმოსავლეთ საქართველოში.

დღეისათვის საქართველოში კივის პლანტაციების ფართობების მთლიანი რაოდენობა 250 ჰექტარს, ხოლო დამზადებული ნაყოფის რაოდენობა 1500-1700 ტონას შეადგენს.

კივის კომერციული ჯიშებიდან მსოფლიოში ყველაზე გავრცელებულია „ჰაივარდი“, „ბრუნო“ და „მონტი“. „ჰაივარდი“ მსხვილი ნაყოფით და უხვმოსავლიანობით ხასიათდება. მსხმოიარობაში მე-3-4 წელს შედის. მცენარის სიცოცხლის ხანგრძლივობა 45-50 წლით განისაზღვრება. საშუალო მოსავლიანობა 15-20 ტონაა ჰექტარზე. ნაყოფი კარგად ინახება ხილსაცავებში ან მაცივრებში. კივის ნაყოფი მდიდარია C, B P და P2 ვიტამინებით, შეიცავს იოდს.

კივი მრავლდება როგორც თესლით, ისე ვეგეტატიურად. თესლით გამრავლება, ძირითადად, სელექციური მიზნებისათვის გამოიყენება. სამრეწველო პლანტაციების გასაშენებლად გამოიყენება მხოლოდ კალმების დაფესვიანებით ან მყნობით მიღებული სტანდარტული ნერგები.

პლანტაციის გაშენება

კივის (Actinidia) გასაშენებლად სასურველია შეირჩეს ქარებისგან დაცული ადგილი, მიზანშეწონილია ნაკვეთის ახლოს სარწყავი წყლის არსებობა. გასაშენებლად ვარგისია მსუბუქი მექანიკური შემადგენლობის სუსტი მჟავე ან ნეიტრალური რეაქციის ნიადაგები. შერჩეული ნიადაგი 1-1,5 მეტრის სიღრმეზე თავისუფალი უნდა იყოს გრუნტის წყლის სიახლოვისაგან.

შემოდგომაზე, ნიადაგის პირველადი დამუშავების შემდეგ, ფართობზე დასარგავად, წინასწარ მონიშნულ ადგილებში, იღებენ 60 სმ სიღრმისა და 50 სმ სიგანის ორმოებს. მასში შეაქვთ 10 კგ გადამწვარი ნაკელი, 200 გრ ფოსფორი და 100 გრ კალიუმის ნაზავი. კივი მრავალწლიანი ხვიარა მცენარეა. ხანგრძლივი პერიოდის მომსახურებისათვის, აუცილებელია მყარი საყრდენები. საყრდენებად შესაძლებელია გამოყენებული იქნას რკინის, რკინა-ბეტონის ან ხის ბოძები. საყრდენი ბოძების სიმაღლე ნიადაგის ზედაპირიდან 2 მეტრს არ უნდა აღემატებოდეს, რათა მცენარის მთელი შინაგანი ენერგია ვეგეტატური ღეროების ზრდისკენ კი არა, ნაყოფმსხმოიარობის ზრდისკენ იქნას მიმართული.

გასხვლა-ფორმირება

კივის (Actinidia) მცენარის ვარჯის მოვლა (გასხვლა-ფორმირება) ერთ-ერთი ძირითადი აგროტექნიკური ღონისძიებაა.

საქართველოს სუბტროპიკული რეგიონების ერთმანეთისაგან განსხვავებულ მიკროეკოლოგიურ პიროებში, კივის მცენარე მოვლა-მოყვანისა და ექსპლუატაციის განსხვავებულ მიდგომას საჭიროებს.

კივის გასხვლის ღონისძიებები შეიძლება ორ პერიოდად დაიყოს:

1. გასხვლა - მსხმოიარობაში შესვლამდე ანუ მაფორმირებელი გასხვლა.
2. გასხვლა - მსხმოიარობაში შესვლის შემდეგ.

მცენარის გამოკვება

კივის (Actinidia) კულტურის ბიოლოგიური თავისებურებებიდან გამომდინარე, ის ხასიათდება კვების ელემენტების მიმართ მაღალი მოთხოვნილებით.

ორგანული სასუქებიდან, კივისთვის ხელსაყრელია 80-100 ტონა ნაკელის შეტანა ჰექტარზე, ნიადაგის წინასწარი დამუშავების პერიოდში. მსხმოიარობის პერიოდში მიზანშეწონილია გადამწვარი 10-15 კგ ნაკელის შეტანა მცენარის ირგვლივ, შტამბისაგან მოცილებით. საუკეთესო ორგანულ სასუქს წარმოადგენს დაბალი მჟავიანობის ტორფიც, რომელიც შეიძლება მთლიანად გაიშალოს მცენარის ირგვლივ. კივის რგვის პროცესში წინასწარ ამოღებულ ორმოებში დიდი რაოდენობით ორგანული ნივთიერების შეტანა სახიფათო პრაქტიკაა, რადგან ორგანული მასის ფერმენტაციამ, შესაძლებელია, ნერგების ფესვთა სისტემა დააზიანოს.

მინერალური სასუქებიდან კივს ყველაზე მეტად აზოტი ესაჭიროება. აზოტოვანი სასუქები გაშენების პირველ წელს შეაქვთ 60 გრ ერთ მცენარეზე (ფიზიკური წონით) ორჯერადი შეტანით მაისსა და ივნისში (30-30 გრამი); მეორე და მესამე წელიწადს - 90 გრ ერთ მცენარეზე სამჯერადი შეტანით (30-30-30); მეოთხე-მეექვსე წელს კი - 150-180 გრ ერთ მცენარეზე სამჯერადი შეტანით(50-50-50); მე-7 და შემდგომ წლებში კი, 350-500 გრ ერთ ხეზე სამჯერადი შეტანით. აზოტოვანი სასუქი თანაბრად უნდა განაწილდეს მცენარის კვების არის მთლიან ფართობზე. ბოლო დოზა შეტანილი უნდა იქნას არაუგვიანეს ივნისის დამლევისა.

კივის მორწყვა უმჯობესია იყოს წვეთური ან წვრილდისპერსიული. მორწყვა უმჯობესია საღამოს საათებში, წვეთური რწყვის სემთხვევაში კ, მთელი დღის განმავლობაში. სარწყავად რეკომენდებულია ნეიტრალური ან მჟავე რეაქციის წყლის წყაროების გამოყენება.

მოსავლის აღება

საქართველოს თბილ რეგიონებში კივის (Actinidia) ნაყოფი შესაძლებელია მოიკრიფოს ნოემბრის თვეში, ყინვების დაწყებამდე და გაგრძელდეს დეკემბრის პირველ დეკადაში (ჯიში „ჰაივერდი“). რაც შეეხება ადრემწიფად ჯიშებს - „მონტი“, „ბრუნო“ - ისინი შესაძლებელია 15-20 ნოემბრამდე მოიკრიფოს. ნაყოფის კრეფა ხდება ხელით. ნაყოფის ყუნწი რჩება მცენარეზე.

ევროპის ქვეყნების ბაზარზე განასხვავებენ აქტინიდიის ნაყოფის სამ კატეგორიას:

1. ექსტრა - ამ კატეგორიის ნაყოფი არ უნდა ხასიათდებოდეს დეფექტებით, იყოს მაღალი ხარისხის, მინიმალური წონა - 80 გრამი.
2. პირველი კატეგორია - ნაყოფს უნდა ქონდეს ჯიშისათვის დამახასიათებელი ფორმა და ფერი. ნაყოფის მინიმალური წონა - 70 გრამი.
3. მეორე კატეგორია - ნაყოფი იყოს საკმაოდ მაგარი, არ არის აუცილებელი ფორმა და ფერი შეესატყვისებოდეს ჯიშურ მაჩვენებლებს, მინიმალური წონა - 65გრამი.

საქართველო, თბილისი, 0159, მარშალ გელოვანის გამზ. №6 ელ-ფოსტა: infomoa@moa.gov.ge ცხელი ხაზი (+995 32) 247 01 01

საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროს საინფორმაციო-საკონსულტაციო (ექსტენციის) სამსახურები

სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის წარმოების გაზრდის ხელშეწყობისა და სოფლის მეურნეობის დარგში არსებული სიახლეებისა და თანამედროვე ტექნოლოგიების შესახებ საქართველოს ფერმერთა და აგრომეწარმეთა ინფორმირებულობის გაზრდის მიზნით, ერთიანი საინფორმაციო-საკონსულტაციო სისტემა ჩამოყალიბდა.

მიზანი:

- აგრარულ სფეროში საბაზისო და თანამედროვე ტექნოლოგიებთან ხელმისაწვდომობა და პრაქტიკული უნარ-ჩვევების სწავლება
- ფერმერთა ცოდნის ამაღლება და ეფექტიანი სასოფლო-სამეურნეო საექსტენციო მომსახურება

საქართველოს მასშტაბით ყველა მუნიციპალიტეტში საინფორმაციო-საკონსულტაციო სამსახურები ფუნქციონირებს. სამსახურები პროფესიონალი აგრონომებით, ვეტერინარებითა და აგროტექნიკოსებითაა დაკომლექტებული. საინფორმაციო-საკონსულტაციო სამსახურების მართვის ეფექტიანად ფუნქციონირების მიზნით ქვეყნის მასშტაბით რვა მუნიციპალიტეტში შეიქმნა რეგიონული სამმართველოები, რომლებიც კორდინაციას უწევენ როგორც რეგიონში არსებულ საინფორმაციო-საკონსულტაციო სამსახურებს, ასევე სოფლის მეურნეობის სამინისტროს სისტემაში შემავალი ყველა უწყების ტერიტორიული სამსახურების საქმიანობას.

საინფორმაციო-საკონსულტაციო სამსახურების ძირითადი ფუნქციები :

- სოფლის მეურნეობის სექტორში წარმოებისა და მომსახურების შესაძლებლობების გაზრდა, მათი განვითარებისა და განხორციელების ხელშეწყობა
- სოფლის მეურნეობის სამინისტროს პოლიტიკის, დარგის განვითარების სტრატეგიისა და მიმდინარე და დაგეგმილი პროგრამების შესახებ მოსახლეობის ინფორმირება
- სასოფლო-სამეურნეო საქმიანობაში გამოვლენილი პრობლემებისა და არსებული მდგომარეობის შესახებ სამინისტროს შესაბამისი სამსახურების ინფორმირება
- სოფლის მეურნეობის სამინისტროს პროექტებში სასოფლო-სამეურნეო საქმიანობით დაკავებული მოსახლეობის აქტიური ჩართულობის უზრუნველყოფა
- სასოფლო-სამეურნეო მონაცემთა ბაზის შექმნა
- მემცენარეობისა და მეცხოველეობის პროდუქციის წარმოების ტექნოლოგიურ პროცესებზე, მოსავლის აღებისა და აღებული მოსავლის შენახვის პირობებსა და ვადებზე, მექანიზაციის რაციონალურ გამოყენებაზე კონსულტაციების გაწევა
- სასოფლო-სამეურნეო კულტურების განაშენიანება-მოვლის თანამედროვე აგროტექნიკური მეთოდების პოპულარიზაცია და დანერგვის ხელშეწყობა
- ბაზარზე არსებული სათესლე და სარგავი მასალების შესახებ ინფორმაციის შეგროვება-დამუშავება, მათი სპეციფიკაციის მიხედვით დაინტერესებული პირებისათვის კონსულტაციების გაწევა
- ბაზარზე არსებული მცენარეთა დაცვის საშუალებების შესახებ ინფორმაციის შეგროვება და დაინტერესებული პირებისათვის მათი გამოყენების მართებული მეთოდების შეთავაზება
- ცხოველთა მოვლა-მოშენების თანამედროვე მეთოდების და ტექნოლოგიების პოპულარიზაცია მათი დანერგვის მიზნით
- საძოვრების რაციონალური გამოყენების მიზნით დაინტერესებული პირებისათვის კონსულტაციის გაწევა
- კანონმდებლობით დადგენილი წესით მუნიციპალიტეტებში სტიქიური მოვლენების შედეგების სალიკვიდაციო საქმიანობის კომისიებში და სამუშაო ჯგუფებში მონაწილეობა, სოფლის მეურნეობის ცალკეულ დარგებსა და სფეროებში შექმნილ საგანგებო სიტუაციათა ანალიზი და შეფასება

საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროს

რეგიონული საინფორმაციო-საკონსულტაციო (ექსტენციის) სამსახურები

ქვემო ქართლის რეგიონული სამსახური

მის: ქ. მარნეული, ნარიმანოვის ქ.11 (ახალი ოფისი)
სამსახურის უფროსი - გერონტი სივსივაძე 595 77 47 73; 595 22 42 12

შიდა ქართლის რეგიონული სამსახური

მის: ქ. გორი, სტალინის გამზ.#16
სამსახურის უფროსი - მამუკა ლომსაძე 591 19 29 14

კახეთის რეგიონული სამსახური

მის: ქ. თელავი, ერეკლე მე-2-ეს გამზ. #16
სამსახურის უფროსი - ზურაბ წიგნაძე (მ/შ) 551 78 18 87

სამცხე-ჯავახეთის რეგიონული სამსახური

მის: ქ. ახალციხე, კეცხოველის ქ. #6
სამსახურის უფროსი - ნანა ზუბაშვილი 595 45 19 11

მცხეთა-მთიანეთის რეგიონული სამსახური

მის: ქ. მცხეთა, აღმაშენებლის ქ.#73
სამსახურის უფროსი - ნიკოლოზ კიკნაველიძე 595 85 83 89; 599 01 03 78

იმერეთის რეგიონული სამსახური

მის: ქ.ზესტაფონი, წერეთლის ქ.#11
სამსახურის უფროსი - რუსუდან ძიძიშვილი 599 70 74 42; 95 30 17 07

სამეგრელო - ზემო სვანეთის რეგიონული სამსახური

მის: ქ.ზუგდიდი, რუსთაველის ქ.#79
სამსახურის უფროსი - ანგული მიქავა (მ/შ) 595 85 83 93; 555 03 02 55

რაჭა-ლეჩხუმი-ქვემო სვანეთის რეგიონული სამსახური

მის: ქ. ამბროლაური, თამარ მეფის ქ.#1
სამსახურის უფროსი - ანა კანთელაძე 595 05 48 88

გურიის რეგიონული სამსახური

მის: ქ. ოზურგეთი, მ.კოსტავას ქ.#1
სამსახურის უფროსი - კონსტანტინე სარიშვილი 599 92 75 11

ხშირად დასმული კითხვები

1. როგორ ჩავერთოთ აგროდაზღვევის პროგრამაში?

- აგროდაზღვევის პროგრამაში მონაწილეობა შეუძლია მიიღოს ფიზიკურ ან იურიდიულ პირს, რომელსაც საკუთრებაში, სარგებლობაში ან ფაქტობრივ მფლობელობაში გააჩნია არაუმეტეს 5 ჰა (ხორბლის მოსავლის დაზღვევის შემთხვევაში არაუმეტეს 15 ჰა) ფართობის ჩათვლით სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი. პროგრამით გათვალისწინებული მიწის ფართობის ოდენობის შეზღუდვა არ ვრცელდება რეგისტრირებულ კოოპერატივზე. აღნიშნული შეზღუდვით მოხდა სეგმენტის განსაზღვრა, პროგრამა ორიენტირებულია მცირე შემოსავლიანი ბენეფიციარების მოსავლის დასაზღვევად.

დეტალური ინფორმაციისთვის ეწვიეთ სოფლის მეურნეობის პროექტების მართვის სააგენტოს ვებგვერდს http://apma.ge/projects/read/agroinsurance ან დარეკეთ ცხელ ხაზზე 2 47 01 01

2. რა ღონისძიებებს ატარებს სახელმწიფო მეფუტკრეობის დარგის განვითარებისათვის?

- 2015 წლის სექტემბერში დაიწყო მეფუტკრეობის სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების მხარდაჭერის სახელმწიფო პროგრამა. სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების განვითარების სააგენტო, პროგრამის ფარგლებში დაწესებული წინაპირობების დაკმაყოფილების შემთხვევაში, დაინტერესებული კოოპერატივებისათვის უზრუნველყოფს სკების შეძენას და ტექნიკურ მხარდაჭერას. კერძოდ, პროგრამის ფარგლებში თითოეული მონაწილისათვის განხორციელდება სკების გადაცემა მისი ღირებულების 30%-ის ოდენობით; მონაწილეებს გადაეცემათ მათ ბალანსზე არსებული სკების იდენტური რაოდენობა (არაუმეტეს 100 ცალი); სააგენტო უზრუნველყოფს როგორც კოოპერატივის ბალანსზე რიცხული, ისე აღნიშნული პროგრამის ფარგლებში კოოპერატივისათვის გადაცემული სკების აღრიცხვა/რეგისტრაციას; მონაწილე მიიღებს ტექნიკურ დახმარებას (კონსულტაცია) „თაფლის შესახებ ტექნიკური რეგლამენტის დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს მთავრობის დადგენილების ძირითადი მოთხოვნების დანერგვასთან დაკავშირებით.

აღსანიშნავია, რომ ჩხოროწყუს მუნიციპალიტეტში, სოფელ მუხურში ფუტკრის სანაშენე მეურნეობის აღდგნითი სამუშაოები დაწყებულია. აღნიშნული სანაშენე მეურნეობის ფუნქციონირება ქართული ფუტკრის გენოფონდის შენარჩუნების და მეფუტკრეობაში მეცნიერული ბაზის შექმნის წინაპირობაა.

დეტალური ინფორმაციისთვის ეწვიეთ სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების ვებგვერდს http://acda.gov.ge/index.php/geo/static/175 ან დარეკეთ სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების განვითარების სააგენტოს ცხელ ხაზზე 2 31 30 26

3. რას ითვალისწინებს შეღავათიანი აგროკრედიტის სახელმწიფო პროგრამა და ვის აქვს კრედიტით სარგებლობის უფლება? რომელი დარგები ფინანსდება პროექტის ფარგლებში?

- აღნიშნული პროექტი ახორციელებს ფერმერებისა და სოფლის მეურნეობაში ჩართული მეწარმეების იაფი, გრძელვადიანი და ხელმისაწვდომი ფულადი სახსრებით უზრუნველყოფას, სოფლის მეურნეობის პირველადი წარმოების, გადამამუშავებელი და შენახვა რეალიზაციის საწარმო პროცესების გაუმჯობესებას. შეღავათიანი აგროკრედიტების ფარგლებში გაიცემა სამი სახის შეღავათიანი აგროკრედიტი:

1. შეღავათიანი აგროკრედიტი საბრუნავი საშუალებისთვის
2. შეღავათიანი აგროკრედიტი ძირითადი საშუალებებისათვის
3. შეღავათიანი აგროკრედიტი სახელმწიფო პროგრამის „აწარმოე საქართველოში“ ფარგლებში.

სალიზინგო კომპანიებისაგან გაიცემა შეღავათიანი აგროლიზინგი.

პროგრამით სარგებლობა შეუძლია საქართველოს მოქალაქე ფიზიკურ პირებს, (ინვიდუალურ მეწარმეებს), სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივებს.

პროექტის ფარგლებში ფინანსდება გადამამუშავებელი საწარმოები (რძე, ხორცი, შერეული, თევზი, ღვინო, ცხოველთა საკვები, არაყი, სასაკლაო, ხილი, თხილი, ლუდი, კონიაკი, ცაი, კეკნროვნები, კაკლი, ზეთი, თამბაქო, ეთერზეთები); ინფრასტრუქტურული საწარმოები, პირველადი სასოფლო-სამეურნეო საწარმოები (მესაქონლეობა, მეღორეობა, მეთევზეობა, მეფრინველეობა, მეფუტკრეობა, ფრინველის საჩეკი მეურნეობა, სასათბურე მეურნეობა, სოკოს წარმოება, მებაღეობა, მევენახეობა, მეცხვარეობა, მრავალწლიანი კულტურების ბაღები და სანერგეები.

დეტალური ინფორმაციისთვის ეწვიეთ სოფლის მეურნეობის პროექტების მართვის სააგენტოს ვებგვერდს http://apma.ge/projects/read/agro_credit ან დარეკეთ ცხელ ხაზზე 2 47 01 01

4. ვის შეუძლია ისარგებლოს მცირემიწიან ფერმერთა საგაზაფხულო სამუშაოების ხელშეწყობის პროექტით?

- მცირემიწიან ფერმერთა საგაზაფხულო სამუშაოების ხელშეწყობის პროექტით შეუძლიათ ისარგებლონ :

1. ფერმერებს, რომელთა საკუთრებაში, სარგებლობაში ან ფაქტობრივ მფლობელობაში არსებული ერთწლიანი კულტურებისათვის განკუთვნილი სახნავი მიწის ჯამური ფართობი არ აღემატება 1,25 ჰა-ს.
2. ფერმერებს, ვისაც არ გააჩნიათ ერთწლიანი კულტურებისთვის განკუთვნილი სახნავი მიწის ნაკვეთი და აქვთ მრავალწლიანი კულტურებით გაშენებული მიწის ნაკვეთები,
3. ფერმერებს, რომელთა საკუთრებაში, სარგებლობაში ან ფაქტობრივ მფლობელობაში არსებული სახნავი და მრავალწლიანი ნარგავებით გაშენებული მიწის ნაკვეთების ჯამური ფართობი არ არემატება 5 ჰა-ს.

დეტალური ინფორმაციისთვის ეწვიეთ სოფლის მეურნეობის პროექტების მართვის სააგენტოს ვებგვერდს http://apma.ge/projects/read/small_farmers ან დარეკეთ ცხელ ხაზზე 2 47 01 01

5. რა პროცედურების გავლაა საჭირო სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივის შექმნისთვის?

- კოოპერატივის შექმნისთვის პირველ რიგში აუცილებელია მაღალმთიან რეგიონში მინიმუმ 3, ხოლო საქართველოს დანარჩენ ტერიტორიაზე მინიმუმ 5 პირის საერთო იდეის გარშემო მობილიზება და კოოპერატივის წესდების შემუშავება. რის შემდეგაც, საჯარო რეესტრში კოოპერატივის ორგანიზაციული ფორმით რეგისტრირდებით, ხოლო სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივის სტატუსის მისაღებად უნდა მიმართოთ სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების განვითარების სააგენტოს.

დეტალური ინფორმაციისთვის ეწვიეთ სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების ვებგვერდს http://acda.gov.ge ან დარეკეთ სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების განვითარების სააგენტოს ცხელ ხაზზე 2 31 30 26

6. რა არის აუცილებელი პირობა იმისთვის, რომ ფერმერი პროგრამაში „დანერგე მომავალი“ ჩაერთოს?

- პროგრამაში „დანერგე მომავალი“ მონაწილეობისათვის აუცილებელია ფერმერი საკუთრებაში ფლობდეთ რეგისტრირებულ, არანაკლებ 1 (ჰა) ფართობის მიწის ნაკვეთს, რომლის გარე პერიმეტრიდან არაუმეტეს 500 მეტრში მდებარეობს მუდმივი სარწყავი წყლის წყარო.

დეტალური ინფორმაციისთვის ეწვიეთ სოფლის მეურნეობის პროექტების მართვის სააგენტოს ვებგვერდს http://apma.ge/projects/read/plant_future ან დარეკეთ ცხელ ხაზზე 2 47 01 01



სოფლის მეურნეობის სამინისტრო

იანვარი

ორ.	სამ.	ოთხ.	ხუთ.	პარ.	შბ.	კვ.
				1	2	3
4	5	6	7	8	9	10
11	12	13	14	15	16	17
18	19	20	21	22	23	24
25	26	27	28	29	30	31

თებერვალი

ორ.	სამ.	ოთხ.	ხუთ.	პარ.	შბ.	კვ.
1	2	3	4	5	6	7
8	9	10	11	12	13	14
15	16	17	18	19	20	21
22	23	24	25	26	27	28
29						

მარტი

ორ.	სამ.	ოთხ.	ხუთ.	პარ.	შბ.	კვ.
	1	2	3	4	5	6
7	8	9	10	11	12	13
14	15	16	17	18	19	20
21	22	23	24	25	26	27
28	29	30	31			

აპრილი

ორ.	სამ.	ოთხ.	ხუთ.	პარ.	შბ.	კვ.
			1	2	3	
4	5	6	7	8	9	10
11	12	13	14	15	16	17
18	19	20	21	22	23	24
25	26	27	28	29	30	

მაისი

ორ.	სამ.	ოთხ.	ხუთ.	პარ.	შბ.	კვ.
						1
2	3	4	5	6	7	8
9	10	11	12	13	14	15
16	17	18	19	20	21	22
23	24	25	26	27	28	29
30	31					

ივნისი

ორ.	სამ.	ოთხ.	ხუთ.	პარ.	შბ.	კვ.
		1	2	3	4	5
6	7	8	9	10	11	12
13	14	15	16	17	18	19
20	21	22	23	24	25	26
27	28	29	30			

ივლისი

ორ.	სამ.	ოთხ.	ხუთ.	პარ.	შბ.	კვ.
				1	2	3
4	5	6	7	8	9	10
11	12	13	14	15	16	17
18	19	20	21	22	23	24
25	26	27	28	29	30	31

აგვისტო

ორ.	სამ.	ოთხ.	ხუთ.	პარ.	შბ.	კვ.
1	2	3	4	5	6	7
8	9	10	11	12	13	14
15	16	17	18	19	20	21
22	23	24	25	26	27	28
29	30	31				

სექტემბერი

ორ.	სამ.	ოთხ.	ხუთ.	პარ.	შბ.	კვ.
			1	2	3	4
5	6	7	8	9	10	11
12	13	14	15	16	17	18
19	20	21	22	23	24	25
26	27	28	29	30		

ოქტომბერი

ორ.	სამ.	ოთხ.	ხუთ.	პარ.	შბ.	კვ.
					1	2
3	4	5	6	7	8	9
10	11	12	13	14	15	16
17	18	19	20	21	22	23
24	25	26	27	28	29	30
31						

ნოემბერი

ორ.	სამ.	ოთხ.	ხუთ.	პარ.	შბ.	კვ.
	1	2	3	4	5	6
7	8	9	10	11	12	13
14	15	16	17	18	19	20
21	22	23	24	25	26	27
28	29	30				

დეკემბერი

ორ.	სამ.	ოთხ.	ხუთ.	პარ.	შბ.	კვ.
		1	2	3	4	
5	6	7	8	9	10	11
12	13	14	15	16	17	18
19	20	21	22	23	24	25
26	27	28	29	30	31	

საქართველო, თბილისი, 0159, მარშალ გელოვანის გამზ. №6 ელ-ფოსტა: infomoa@moa.gov.ge ცხელი ხაზი(+995 32) 247 01 01